



იურიდიული დახმარების
სამსახური



წლიური ანგარიში 2016

იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარის მიმართვა



ხელისუფლების ყველა შტოსგან დამოუკიდებელი იურიდიული დახმარების სამსახური — ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია იმ რეფორმებისა, რომლებიც ბოლო წლებში მართლმსაჯულების სექტორში განხორციელდა. უკვე მესამე წელია, სპეციალური კოლეგიური ორგანო — იურიდიული დახმარების საბჭო აქტიურად ახორციელებს თავის უფლებამოსილებას, რათა უზრუნველყოს იურიდიული დახმარების სამსახურის დამოუკიდებლობა და გამჭვირვალობა. ეს მეტად საპასუხისმგებლო მისიაა არამხოლოდ საბჭოს ფუნქციების მნიშვნელობიდან გამომდინარე, არამედ იმიტომაც, რომ, როგორც ახლადშექმნილ ორგანოს, საბჭოს პრაქტიკაში აქვს დასადასტურებელი, რომ წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესთა გამოხატვის ოპტიმალურ მოდელს და ამით განამტკიცებს იურიდიული დახმარების სამსახურის საიმედოობას.

მე წილად მხვდა პატივი, ვიყო იურიდიული დახმარების საბჭოს პირველი შემადგენლობის წევრი, ხოლო 2016 წლიდან კი — საბჭოს თავმჯდომარე. იმედი მაქვს, წინამდებარე ანგარიში საშუალებას მისცემს მკითხველს, ნათლად დაინახოს, რომ დამოუკიდებელი სტატუსის მქონე იურიდიული დახმარების სამსახური წარმატებით ვითარდება და ასრულებს სულ უფრო მზარდ როლს საქართველოში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისა და ადამინის უფლებათა დაცვის გაუმჯობესების კუთხით.

2016 წელს, საბჭომ გამართა 8 სხდომა და მიიღო 17 გადაწყვეტილება, რომელიც იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის რეგულირების სხვადასხვა საკითხს ეხება. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო გადაწყვეტილებები, რომლითაც პილოტურ რეჟიმში ფუნქციონირება დაიწყო იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სისტემა. საბჭო ხელს უწყობს საზოგადოებრივი ადვოკატების ჩართულობას სამუშაო პროცესში, რომლის შედეგადაც საბოლოოდ დაინერგება ხარისხის შეფასების სისტემის მოქნილი, სამართლიანი და გამჭვირვალე მოდელი.

2016 წელს, საბჭო ჩართული იყო ინსტიტუციური რეფორმების განხორციელებაშიც, რაც მიზნად ისახავს, როგორც სამსახურის ადმინისტრირების, ისე საბჭოს საქმიანობის შემდგომ დახვეწას. საბჭომ მხარი დაუჭირა სამსახურის ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის კონცეფციას, რომლის საფუძველზეც 2017 წელს დაგეგმილია სამსახურის ახალი დებულების დამტკიცება. ვფიქრობთ, რომ ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა საშუალებას მისცემს სამსახურს, გაუმკლავდეს გაფართოებული მანდატით დაკისრებულ ახალ ვალდებულებებს, ასევე მეტი რესურსი მიმართოს სერვისების განვითარებისაკენ.

გარდა ამისა, 2016 წელს, საბჭომ, უცხოელი ექსპერტების დახმარებით, დაასრულა მუშაობა საკონმდებლო ცვლილების პროექტზე, რომლითაც ახლებურად განისაზღვრება საბჭოს ფორმირების წესი. დაგეგმილი ცვლილებები საშუალებას მისცემს საბჭოს, ერთი მხრივ, — გახდეს მუდმივად განახლებადი, მოიზიდოს მაღალი

რეპუტაციის მქონე პროფესიონალები, რომლებიც საბჭოში ახალ იდეებსა და ხედვებს მოიტანენ; მეორე მხრივ კი, – შეინარჩუნოს ინსტიტუციური მეხსიერება, რაც ძალზე მნიშვნელოვანია იურიდიული დახმარების სამსახურის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

საბჭო მუდმივად აკვირდება და სწავლობს იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოების პროცესს. საბჭო აქტიურად თანამშრომლობს იურიდიული დახმარების ბიუროებთან, ასევე საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, რათა იურიდიული დახმარება გახდეს კიდევ უფრო ხელმისაწვდომი და ხარისხიანი, ხოლო საზოგადოება სრულად იყოს ინფორმირებული უფასო იურიდიული დახმარების თაობაზე. საბჭო ასევე თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტთან, რათა, სახელმწიფო ბიუჯეტის განსაზღვრის პროცესში, იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფილი იყოს სათანადო ფინანსური რესურსებით.

საბჭოს სახელით, მადლობას ვუხდით იურიდიული დახმარების სამსახურის ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს გაწეული საქმიანობისათვის. ასევე მსურს მადლობა გადავუხადო იმ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი იურიდიული დახმარების სამსახურის რეფორმის პროცესში და მხარს უჭერენ ყველა მნიშვნელოვან ინიციატივას.

მჯერა, რომ, საბჭო, ყველა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობით, მომავალშიც შეძლებს თავისი წვლილის შეტანას საქართველოში ხარისხიანი იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდაში.

პატივისცემით,

ეკატერინე ფოფხაძე,
საბჭოს თავმჯდომარე

დირექტორის მიმართვა



საქართველოს პარლამენტისთვის იურიდიული დახმარების სამსახურის წლიური ანგარიშის წარდგენა გვაძლევს კარგ შესაძლებლობას, შევაჯამოთ გასული წლის საქმიანობის შედეგები და შევაფასოთ, რა პროგრესს მივაღწიეთ იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის ზრდის, და შესაბამისად, ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესების კუთხით. ამ მხრივ, 2016 წელს ჩვენ განვახორციელეთ არაერთი ღონისძიება, რომელმაც კიდევ უფრო დაგვაახლოვა მთავარ მიზანთან – უზრუნველვყოთ ქვეყანაში სოციალურ საჭიროებაზე ორიენტირებული, მდგრადი და საიმედო იურიდიული დახმარების სისტემის ფუნქციონირება.

მიღწეულ შედეგებს შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ 2016 წელს გაიზარდა იმ ბენეფიციართა რაოდენობა, ვინც ისარგებლა უფასო საადვოკატო მომსახურებით სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროებში. როგორც ცნობილია, სამართლის ამ დარგებზე იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი 2015 წელს გავრცელდა, ამიტომ სამსახური თავის ძალისხმევას მიმართავს იქეთკენ, რომ უკეთ დააკმაყოფილოს იმ მოქალაქეთა საჭიროებები, რომლებსაც აქვთ სამართლებრივი პრობლემები სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროებში.

სამსახურის მანდატის გაფართოება 2016 წელსაც გაგრძელდა. ძალაში შევიდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომლის მიხედვითაც, სამსახურმა დაიწყო არამხოლოდ არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაცვა, არამედ საადვოკატო მომსახურების გაწევა დაზარალებულისა და მოწმის სტატუსის მქონე ბავშვებისათვის, ასევე 18–დან 21 წლამდე ბრალდებულებისათვის. გარდა ამისა, სამსახურმა დაიწყო იმ უცხოელების დაცვა, რომელთა მიმართაც სასამართლო განიხილავს თავშესაფრის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭება–შეწყვეტის საკითხებს. აღსანიშნავია, რომ თავშესაფრის მაძიებელთათვის იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა წარმოადგენდა საქართველოს ვალდებულებას, რომელიც ქვეყანამ აიღო ევროკავშირთან ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

2016 წელს გაფართოვდა იურიდიული დახმარების სამსახურის რეგიონული ოფისების ქსელიც. კერძოდ, ქალაქ სიღნაღში ამოქმედდა იურიდიული დახმარების ბიურო, რომელიც სიღნაღის, დედოფლისწყაროს და საგარეჯოს მუნიციპალიტეტების მოსახლეობას ემსახურება. აღნიშნული მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ პირებს აღარ სჭირდება იურიდიული დახმარების მისაღებად თელავში ჩასვლა, რაც სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის დამატებითი შეღავათია. დღეისათვის, ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს 12 იურიდიული დახმარების ბიურო და 7 საკონსულტაციო ცენტრი. სამსახური განაგრძობს მუშაობას იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად.

მანდატისა და გეოგრაფიული არეალის გაფართოების პარალელურად, სამსახური აგრძელებს მუშაობას მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებზე. 2016 წელს პილოტურ რეჟიმში ამოქმედდა ხარისხის შეფასების სისტემა სისხლის სამართლის სფეროში გაწეულ მომსახურებაზე. გარდა ამისა, დაიწყო მუშაობა ანალოგიური სისტემის დასანერგად სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზეც. გვჯერა, რომ, საზოგადოებრივი ადვოკატების უწყვეტი პროფესიული განვითარება და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს, რომ მოქალაქეებს ხელი მიუწვდებოდეთ კვალიფიციურ, დროულ და ეფექტურ იურიდიული დახმარებაზე.

მინდა მადლობა გადავუხადო იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებსა და კონსულტანტებს, რომელთა დახმარებით 2016 წელს ათობით ათასმა მოქალაქემ შეძლო თავისი უფლებების დაცვა სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოსა თუ სასამართლოში. ასევე მსურს გამოვხატო მადლიერება ჩვენს საერთაშორისო პარტნიორების – ევროკავშირის, გაეროს განვითარების პროგრამის და აშშ–ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიმართ, რომლებიც მხარს გვიჭერენ ჩვენი სტრატეგიული ამოცანების განხორციელებაში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია იურიდიული დახმარების სამსახურის მდგრადობისა და საბიუჯეტო დაფინანსებით უზრუნველყოფის საკითხი, რომელიც, უკანასკნელი სამი წლის მანძილზე დამკვიდრებული პრაქტიკით, წყდება იურიდიული დახმარების საბჭოს, საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მჭიდრო კოორდინაციით. ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ იურიდიული დახმარების სფეროში გადაწყვეტილების მიმღები ყველა რგოლი სათანადოდ აცნობიერებს ჩვენი საზოგადოების სოციალურ საჭიროებებს და ზრუნავს იურიდიული დახმარების სამსახურის ინსტიტუციური და მატერიალურ–ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერებაზე.

მჯერა, რომ საერთო ძალისხმევით მომავალშიც შევძლებთ წინსვლას, იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის და ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით.

პატივისცემით,

მელიტონ ბენიძე,
სამსახურის დირექტორი

შინაარსი

იურიდიული დახმარების სისტემა დღეს	9
იურიდიული დახმარების საბჭო	9
იურიდიული დახმარების სამსახურის სტრუქტურა	10
სამსახურის მანდატი.....	12
ისტორია: 2005-2015 წლებში განხორციელებული რეფორმები	15
2005-2006: იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმა - პირველი ნაბიჯები	15
2007: კანონის მიღება და იურიდიული დახმარების სამსახურის ჩამოყალიბება ...	16
2008: სამოქმედო არეალის გაფართოვება, პირველი საკონსულტაციო ცენტრები17	
2009: იურიდიული დახმარების კიდევ ერთი მოდელი: მონვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი	18
2010: იურიდიული დახმარება ეთნიკური უმცირესობებისთვის	19
2011: იურიდიული დახმარების ქართულ სისტემას უცხო ქვეყნები ეცნობიან.....	20
2012: გაერო იღებს რეზოლუციას იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობაზე21	
2013: თანამედროვე ტექნოლოგიები და ხარისხის უზრუნველყოფა.....	21
2014: იურიდიული დახმარების სამსახური – დამოუკიდებელი ორგანიზაცია	22
2015: სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე მანდატის გაფართოება	23
სტატისტიკური მონაცემები.....	24
წარმატებული საქმეები	34
სისხლის სამართლის საქმეები	34
სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები	46
იურიდიული დახმარების სამსახურის რეფორმა	61
სამსახურის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა	61
იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.....	62
იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაზრდა	62
ადამიანური რესურსები.....	62
ტერიტორიული დაფარვა.....	63
რეფერალური სისტემის განვითარება	65
მონვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფა66	
მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა.....	66
იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა	66

იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების არასრულწლოვანთა საქმეებზე სპეციალიზაცია	68
მენეჯმენტის სისტემის გამართვა, იურიდიული კლინიკებისა და სტაჟირების სისტემების გამართვა	68
თანამშრომელთა მუდმივი პროფესიული გადამზადება	70
საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება იურიდიული დახმარების სისტემის შესახებ	71
გამონვევები	72
ფინანსური ანგარიში 2016	75
პარტნიორი ორგანიზაციები	76

იურიდიული დახმარების სისტემა დღეს

იურიდიული დახმარების საბჭო

2014 წლის 27 იანვრიდან, იურიდიული დახმარების სამსახურის მართვის, მისი ფუნქციების ეფექტიანი შესრულების, სამსახურის დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით ფუნქციონირება დაიწყო კოლეგიურმა ორგანომ – იურიდიული დახმარების საბჭომ.

საბჭოს შემადგენლობა



ეკატერინე ფოფხაძე
საბჭოს თავმჯდომარე,
საია



ხათუნა ფურაღიანი
თავმჯდომარის მოადგილე,
ადვოკატთა ასოციაცია



ელზა ლეჟაკაშელი
ადვოკატთა ასოციაცია



ბონდო ალასანი
ადვოკატთა ასოციაცია



ვანდა ჭიჭელავა
სახალხო დამცველის აპარატი



მარინე კვაჭაძე
სამეცნიერო სფერო



ნათია ჩირიკაშვილი
იუსტიციის სამინისტრო




კახაბერ სოფრომაძე
იუსტიციის უმაღლესი საბჭო



გიამრო ბვიშიანი
იურიდიული დახმარების
ბიუროები

საბჭო შედგება 9 წევრისგან და დაკომპლექტებულია ადვოკატთა ასოციაციის 3 წევრით, ასევე – იუსტიციის სამინისტროს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სახალხო დამცველის, საია-ს, სამეცნიერო სფეროსა და იურიდიული დახმარების სამსახურის თითო წარმომადგენლით. მათი უფლებამოსილების ვადა, გარდა იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლისა, 4 წელია. საბჭო აღჭურვილია ფართო უფლებამოსილებებით, რომელთა შორისაა: სამსახურის დირექტორის არჩევა, სამსახურის სტრატეგიის დამტკიცება და კონტროლი მის შესრულებაზე, სამსახურის დებულებისა და საქმიანობის მარეგულირებელი სხვა დოკუმენტების დამტკიცება, გადაწყვეტილების მიღება იურიდიული დახმარების ოფისების გახსნისა და გაუქმების თაობაზე და სხვა.

იურიდიული დახმარების სამსახურის სტრუქტურა




სამსახურის ოფისები და თანამშრომლები:

- იურიდიული დახმარების ბიურო: ოფისი, სადაც მუშაობენ ადვოკატები და კონსულტანტები. ოფისს ხელმძღვანელობს ბიუროს უფროსი. დღეისათვის, ქვეყნის მასშტაბით 12 ბიურო ფუნქციონირებს: თბილისში, მცხეთაში, თელავში,

სიღნაღში, რუსთავში, გორში, ახალციხეში, ზესტაფონში, ქუთაისში, ზუგდიდში, ფოთსა და ბათუმში.

- საკონსულტაციო ცენტრი: ოფისი, სადაც დასაქმებულია მხოლოდ კონსულტანტი. დღეისათვის, 7 საკონსულტაციო ცენტრი მოქმედებს: ოზურგეთში, ამბროლაურში, ახალქალაქში, წალკაში, მარნეულში, მესტიასა და საჩხერეში.
- ცენტრალური აპარატი: ოფისი, რომელიც იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს.
- თანამშრომელთა რიცხოვნობა: 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იურიდიული დახმარების სამსახურის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრება 240 საშტატო ერთეულით. აქედან, 136 ადვოკატი, 25 კონსულტანტი, 20 სპეციალისტი, 36 – ტექნიკური პერსონალი, 23 – ცენტრალური აპარატის თანამშრომელი.



მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი:

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი უფასო იურიდიული დახმარების მიწოდების ერთ-ერთი საშუალებაა. იგი 2009 წლის მაისში შეიქმნა უფასო სამართლებრივი დახმარების შეუფერხებელი მიწოდების მიზნით და ფუნქციონირებს შემდეგი სისტემით: იურიდიული დახმარების ფარგლებში მოქმედებს იმ კერძო ადვოკატთა მონაცემთა ბაზა, რომლებიც, საბუჯეტო ანაზღაურების საფუძველზე, მოქალაქეებს უფასოდ ემსახურებიან. მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატები სისხლის სამართლის საქმეებში ერთვებიან

ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, როდესაც ბიუროს დახმარებისთვის ერთი და იმავე სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ორი ან რამდენიმე, საპირისპირო ინტერესების მქონე პირი მიმართავს. ასეთ დროს იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი მხოლოდ ერთ პირს დაიცავს, ხოლო სხვა პირს (პირებს) დამცველად რეესტრის ადვოკატი (ადვოკატები) დაენიშნება. იმ რეგიონებში, სადაც იურიდიული დახმარების ბიურო არ ფუნქციონირებს, სისხლის სამართლის საქმეებზე რეესტრიდან ადვოკატის დანიშვნას უზრუნველყოფენ იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრები.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რეესტრში რეგისტრირებულია 77 ადვოკატი, აქედან სისხლის სამართლის სპეციალიზაციით მუშაობს 52 ადვოკატი, სამოქალაქო სპეციალიზაციით – 3 ადვოკატი, ხოლო საერთო სპეციალიზაციით – 22 ადვოკატი. 2016 წელს რეესტრის ადვოკატებმა მონაწილეობა მიიღეს 885 საქმეში.

რეესტრის ადვოკატის ანაზღაურების სისტემა ასეთია: იურიდიული დახმარების სამსახური მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატს, სისხლის სამართლის საქმეში ჩართვისათვის, ერთჯერადად ფიქსირებულ თანხას უხდის (დღე-ღამის დროის გათვალისწინებით). გარდა ამისა, ანაზღაურდება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ადვოკატის მიერ განხორციელებული თითოეული მოქმედება და მიღწეული შედეგი (საქმეთა კატეგორიების – ნაკლებად მძიმე, მძიმე, განსაკუთრებით მძიმე – გათვალისწინებით).

სამსახურის მანდატი

2016 წლის დეკემბრის მდგომარეობით, იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი მოიცავს:

- უფასო იურიდიული კონსულტაციას ნებისმიერი პირისათვის;
- სამართლებრივი დოკუმენტების (განცხადება, შუამდგომლობა და სხვ.) შედგენას გადახდისუუნარო პირებისათვის;
- საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურება სისხლის სამართლის პროცესში სავალდებულო დაცვის შემთხვევებში; ასევე – გადახდისუუნარო ბრალდებულის, მსჯავრდებულის და გამართლებულის მომართვის შემთხვევაში.
- დამცველის მომსახურებას არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების საქმეებზე;
- დამცველის მომსახურებას იმ გადახდისუუნარო მსჯავრდებულთათვის, რომელთა მიმართაც მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში;
- დამცველის მომსახურებას ისეთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პატიმრობას.
- სასამართლოში წარმომადგენლობას სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის გარკვეულ საქმეებზე (საოჯახო სამართალი, მემკვიდრეობის სამართალი, სოციალური დაცვის კანონმდებლობა), თუ პირი გადახდისუუნაროა, ხოლო საქმე – რთული და მნიშვნელოვანი;

- სავალდებულო დაცვას ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირთა საქმეებზე, როდესაც სასამართლო განიხილავს პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხს;
- სასამართლოში წარმომადგენლობას ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის საქმეებზე, თუ მსხვერპლი გადახდისუუნაროა.
- თავშესაფრის ან ჰუმანიტარული სტატუსის მაძიებელთა დაცვა, პირის გადახდისუუნარობის მიუხედავად.

პირის გადახდისუუნარობის საკითხი

საქართველოს მთავრობის 2014 წელის 30 ივნისის №424 დაგეგნილებით განსაზღვრულია პირის გადახდისუუნარობის დადასტურების წესი. ამ წესის მიხედვით:

- პირი გადახდისუუნაროდ ითვლება და სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება ენიჭება, თუ იგი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი, რომლის სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70 000-ზე.
- ზემოაღნიშნულის გარდა, გადახდისუუნაროდ ითვლება და სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება ენიჭება აგრეთვე პირს, თუ იგი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი, რომლის სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 100 000-ზე და მიეკუთვნება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიას:

- ა) იმ მრავალშვილიანი ოჯახის წევრი, რომელსაც ჰყავს 3 ან მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი;
- ბ) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი;
- გ) 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი;
- დ) მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონესრულწლოვანი პირი;
- ე) მკვეთრად, მნიშვნელოვნად ან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი, თუ შესაძლებლობის შეზღუდვა მიმდინარეობს ბავშვობიდან;
- ვ) 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვი;
- ზ) რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირი.

იურიდიული დახმარება „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არარეგისტრირებულ პირებისათვის

იურიდიული დახმარების საბჭოს 2014 წლის №10 და 2015 წლის №27 და №31 გადაწყვეტილებებით, დადგინდა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არარეგისტრირებულ პირთა წრე, რომლებსაც უფლება აქვთ, მიმართონ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს, მათთვის, გამონაკლისის სახით, იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ.

აღნიშნულ ჩამონათვალში შევიდნენ შემდეგი კატეგორიის პირები:

- პირები, რომლებიც წარსულში აკმაყოფილებდნენ გადახდისუნარობის კრიტერიუმებს და მათი მონაცემები მოიპოვება სოციალურად დაუცველთა ბაზის არქივში;
- პირები, რომელთა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა დადასტურებულია ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გაცემული ცნობებით;
- მძიმე და განუკურნებელი სენით დაავადებული პირები;
- მართხელა დედა, რომელსაც ჰყავს არასრულწლოვანი შვილები;
- პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირი;
- ასაკით პენსიონერი;
- იურიდიული დახმარების სამსახურში დასაქმებული ადვოკატი / ადვოკატის ოჯახის წევრი / ახლო ნათესავი;
- მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრი;
- სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ბენეფიციარი;
- საერთაშორისო ჰუმანიტარული კავშირის „კათარზისის“ (სათნოების სახლი) ბენეფიციარი;
- არასრულწლოვანი პირი, რომელიც შესაძლოა იყოს მხარე სამოქალაქო/ადმინისტრაციულ საქმეებზე.

ისტორია: 2005-2015 წლებში განხორციელებული რეფორმები

2005-2006: იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმა - პირველი ნაბიჯები



საქართველომ, კონსტიტუციის მიღებით და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან მიერთებით, აიღო ვალდებულება, რომ თავის მოქალაქეებს დაცვის უფლების რეალიზაციის ეფექტური მექანიზმით უზრუნველყოფდა. სწორედ ამ ვალდებულების შესრულების მიზნით, 2004 წელს საქართველოში დაიწყო იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმა. რეფორმის ინიციატორები იყვნენ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და იუსტიციის სამინისტრო, ხოლო პროექტის ფინანსურ მხდაჭერას ფონდი „ღია საზოგადოება—საქართველო“ და USAID ახორციელებდნენ.

2005 წელს, საცდელი პროექტის ფარგლებში, იუსტიციის სამინისტროს სისტემაში „საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახური“ შეიქმნა. თბილისსა და ზესტაფონში კი გაიხსნა პირველი ბიუროები, სადაც კონკურსის წესით შერჩეული კვალიფიციური იურისტები დასაქმდნენ. მათ ეწოდათ „საზოგადოებრივი ადვოკატები“ და დავებზე უფასო მომსახურების გაწევა სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული პირებისათვის, რომლებსაც არ შეეძლოთ დამცველის საკუთარი ხარჯებით მოწვევა. საცდელი პროექტი 2 წლის მანძილზე გაგრძელდა და 2007 წელს „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონის მიღებით დასრულდა. ამის შემდეგ რეფორმის ახალი ფაზა დაიწყო.

2007: კანონის მიღება და იურიდიული დახმარების სამსახურის ჩამოყალიბება



2007 წლის 2 ივლისს, ძალაში შევიდა „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელმაც იურიდიული დახმარების სისტემის ინსტიტუციური მოწყობა, იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირთა წრე და სერვისით სარგებლობის პირობები განსაზღვრა.

კანონის საფუძველზე და „საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის“ საქმიანობის შედეგებზე დაყრდნობით, იუსტიციის სამინისტროს სისტემაში საჯარო სამართლის იურიდიული პირი – იურიდიული დახმარების სამსახური შეიქმნა. იმავე წელს, ქვეყნის მასშტაბით დამატებით 8 ახალი ბიურო მცხეთაში, თელავში, რუსთავში, გორში, ქუთაისში, ზუგდიდში, ფოთსა და ბათუმში—ამოქმედდა. კანონით განისაზღვრა იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი. სამართლებრივი კონსულტაცია – ყველასათვის ხელმისაწვდომ მომსახურებად, იურიდიული დახმარების სახეებად კი სამართლებრივი დოკუმენტების შედგენა და სასამართლოში წარმომადგენლობა განისაზღვრა. კანონმა სასამართლოში წარმომადგენლობა სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე გაითვალისწინა, თუმცა, გარდამავალი დებულებით, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე მანდატის გაფართოება მომდევნო პერიოდისთვის გადაიდო.

შემდგომ წლებში, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში არაერთი ცვლილება შევიდა, რომელიც იურიდიული დახმარების სამსახურის დამოუკიდებლობის და ფინანსური გარანტიების უზრუნველყოფას ემსახურებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ 2007 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურმა მნიშვნელოვნად გააფართოვა სამოქმედო ტერიტორია, საქართველოს ზოგიერთ რეგიონში იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა კვლავაც პრობლემური იყო. ამიტომ, მოსახლეობის საჭიროებების და მართლმსაჯულების სისტემის დატვირთვის გათვალისწინებით, გადაწყდა, რომ ზოგიერთ რეგიონში, მსხვილი საადვოკატო ბიუროების ნაცვლად, გაიხსნებოდა საკონსულტაციო ცენტრები, სადაც მოსახლეობა იურიდიული კონსულტაციის მიღებას და დოკუმენტების შედგენის სერვისით სარგებლობას შეძლებდა.

2008: სამოქმედო არეალის გაფართოვება, პირველი საკონსულტაციო ცენტრები

2008 წელს პირველი საკონსულტაციო ცენტრები ოზურგეთსა და ამბროლაურში გაიხსნა. საკონსულტაციო ცენტრებში კონკურსის წესით შერჩეული იურისტები დასაქმდნენ. მათ გურიის და რაჭა–ლეჩხუმის მოსახლეობისთვის იურიდიული დახმარების გაწევა დაევალათ.

2008 წელი მნიშვნელოვანი იყო იურიდიული დახმარების სამსახურში სხვადასხვა პროექტის ინიცირების თვალსაზრისით. დაიწყო მუშაობა ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტებზე, როგორებიცაა გაწეული იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სისტემა, ასევე საზოგადოებრივი ადვოკატების პროფესიული სტანდარტები.

გარდა ამისა, იურიდიული დახმარების სამსახურმა ბიუროების ბაზაზე დაიწყო იურიდიული კლინიკის პროექტის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს სტაჟირების საშუალება მიეცათ. იურიდიული კლინიკის პროექტი, 9 წელია, წარმატებით გრძელდება. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე სტუდენტი, სტაჟირების დასრულების შემდეგ, იურიდიული დახმარების სამსახურში ადვოკატის პოზიციაზე დასაქმდა.



2009: იურიდიული დახმარების კიდევ ერთი მოდელი: მონვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი

იურიდიული დახმარების ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების შექმნის პარალელურად, რეფორმა გრძელდებოდა იურიდიული დახმარების გაწევის კიდევ ერთი მოდელის - “მონვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის” შექმნის მიმართულებით. ეს მოდელი შეიქმნა იმისათვის, რომ დაცული ყოფილიყო ადვოკატთა პროფესიული ეთიკით დადგენილი პრინციპი, რომელიც, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, კრძალავს დაპირისპირებული მხარეების დაცვას ერთსა და იმავე საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატების მიერ.

რეესტრი წარმოადგეს იმ კერძო ადვოკატთა მონაცემთა ბაზას, რომლებიც, საბიუჯეტო ანაზღაურების საფუძველზე, მოქალაქეებს უფასოდ ემსახურებიან. რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატები საქმეებში ერთვებიან ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, როდესაც იურიდიული დახმარების ბიუროს, ერთსა და იმავე საქმესთან დაკავშირებით, ორი ან რამდენიმე, საპირისპირო ინტერესების მქონე პირი მიმართავს. ასეთ დროს იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი მხოლოდ ერთ პირს დაიცავს, ხოლო სხვა პირს (პირებს) დამცველად რეესტრის ადვოკატი (ადვოკატები) დაენიშნება.

ამ სპეციფიკის გათვალისწინებით, იურიდიული დახმარების ბიუროებში მომუშავე და რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატების ანაზღაურების სისტემა განსხვავებულია. ბიუროს ადვოკატი იღებს ყოველთვიურ ხელფასს. რეესტრის ადვოკატის ანაზღაურების სისტემა კი ასეთია: იურიდიული დახმარების სამსახური რეესტრის ადვოკატს, საქმეში ჩართვისათვის, ერთჯერადად ფიქსირებულ თანხას უხდის. გარდა ამისა, ანაზღაურდება საქმესთან დაკავშირებით ადვოკატის მიერ განხორციელებული თითოეული მოქმედება და მიღწეული შედეგი. დღეისათვის, რეესტრში რეგისტრირებულია 77 ადვოკატი, რომლებიც სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმეებში ერთვებიან.

2010: იურიდიული დახმარება ეთნიკური უმცირესობებისთვის

2010 წელი იქცა მნიშვნელოვან ეტაპად იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიმართულებით. გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, დაიწყო იურიდიული დახმარების ოფისების ქსელის განვითარება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. ახალციხეში იურიდიული დახმარების ბიურო ამოქმედდა, ხოლო ახალქალაქში – საკონსულტაციო ცენტრი გაიხსნა. მრავალეთნიკური სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობას უფასო სამართლებრივი დახმარებით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცა. 2011 წელს საკონსულტაციო ცენტრი გაიხსნა წალკაში, 2012 წელს კი – მარნეულში. ოფისები თანამედროვე სტანდარტებით მოეწყო და იქ, მოსახლეობის საჭიროების გათვალისწინებით, ორენოვანი კონსულტანტები დასაქმდნენ.

გარდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონებისა, გაეროს განვითარების პროგრამის დახმარებით, 2010 წელს განახლებული იურიდიული დახმარების ბიურო გაიხსნა რუსეთის აგრესიით დაზარალებულ და იძულებით გადაადგილებულ პირთა მაღალი კონცენტრაციით გამორჩეულ შიდა ქართლის რეგიონში, ქალაქ გორში. 2013 წელს კი, მესტიაში საკონსულტაციო ცენტრის გახსნით, უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის შესაძლებლობა მაღალმთიანი სვანეთის მოსახლეობას მიეცა.

2014 წელს, რიგით მეშვიდე საკონსულტაციო ცენტრი საჩხერეში ამოქმედდა, შესაბამისი სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

2011: იურიდიული დახმარების ქართულ სისტემას უცხო ქვეყნები ეცნობიან



იურიდიული დახმარების სფეროში საქართველოში განხორციელებულმა საკანონმდებლო და ინსტიტუციურმა რეფორმებმა არა მხოლოდ გააუმჯობესეს ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა, არამედ საქართველო აქციეს საინტერესო მაგალითად სხვა ქვეყნებისთვის, სადაც ანალოგიური რეფორმების განხორციელებას ცდილობდნენ.

ფონდი „ღია საზოგადოება“, რომელიც თავის დროზე, რეფორმის აქტიური მხარდამჭერი იყო საქართველოში, აგრძელებდა თავის ძალისხმევას გლობალური მასშტაბით და პოსტ-ტოტალიტარულ ქვეყნებში იურიდიული დახმარების სისტემების ჩამოყალიბებას ხელს უწყობდა. ფონდის ორგანიზებით, 2011 წელს, ქართული იურიდიული დახმარების სისტემის შესწავლის მიზნით, საქართველოს იორდანის და ყაზახეთის დელეგაციები, 2012 წელს კი ინდონეზიის, ბანგლადეშისა და უკრაინის ერთობლივი დელეგაცია ეწვია. 2014 წელს, USAID-ის მოწვევით, საქართველოში ერაყის დელეგაცია სტუმრობდა.

გარდა აღნიშნულისა, საქართველო აქტიურად ჩაერთო „ღია საზოგადოება – სამართლებრივი ინიციატივის“ კოორდინაციით შექმნილ იურიდიული დახმარების რეფორმატორთა ქსელში (LARN), რომელშიც საქართველოს, ლიტვის, ბულგარეთის, უკრაინის, მოლდოვისა და მონღოლეთის იურიდიული დახმარების სამსახურები

გაერთიანდნენ. 2013 წელს, LARN-ის ფარგლებში, საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის წარმომადგენლებმა „ექვევის კოდექსის მოდელი იურიდიული დახმარების ადვოკატებისათვის სისხლის სამართლის საქმეებში“ და „სისხლის სამართლებრივი დაცვის პრაქტიკის სტანდარტები“ შეიმუშავეს.

2012: გაერთიანებულ რეზოლუციას იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობაზე

2012 წელი იქცა მნიშვნელოვან ეტაპად გლობალური მასშტაბით იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების კუთხით. სწორედ ამ წელს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, თავისი რეზოლუციით, დაამტკიცა „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემებში იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის შესახებ გაეროს პრინციპები და სახელმძღვანელო წესები“. ეს გახდა პირველი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელმაც გაერო-ს ყველა წევრი-სახელმწიფოსთვის დაადგინა ძირითადი პრინციპები და ინსტრუქციები, სისხლის სამართლის საქმეებზე, სოციალურად დაუცველი და სხვა სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისათვის, ეფექტური იურიდიული დახმარების გაწევის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

საქართველო, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან ერთად, აღნიშნული რეზოლუციის მიღების ინიციატორი გახდა. იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი რეზოლუციის შეიმუშავების მიზნით ექსპერტთა და დიპლომატთა დონეზე გამართულ შეხვედრებში. რეზოლუცია საბოლოო სახით 2012 წლის 20 დეკემბერს დაამტკიცეს.

საქართველო აგრძელებს მუშაობას რეზოლუციის იმპლემენტაციის ხელშეწყობის კუთხით, რისთვისაც აქტიურად იყენებს სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმს.

2013: თანამედროვე ტექნოლოგიები და ხარისხის უზრუნველყოფა

იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობასთან ერთად, რეფორმის ერთ-ერთ პრიორიტეტს ყოველთვის წარმოადგენდა მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველყოფა. ამ მიზნით, იურიდიული დახმარების სამსახური, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, მუდმივად მუშაობდა ადმინისტრირების გაუმჯობესებაზე, მათ შორის, მენეჯმენტში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე.

2013 წელს, ფონდ „ღია საზოგადოება—საქართველოს“ და გაეროს განვითარების პროგრამის ხელშეწყობით, იურიდიული დახმარების სამსახურში კომპიუტერული პროგრამა CaseBank დაინერგა. პროგრამა სამი ძირითადი ამოცანის გადაჭრას ემსახურება. კერძოდ, ამარტივებს ბიუროს უფროსის, ადვოკატების, კონსულტანტებისა და სპეციალისტების საქმიანობის ორგანიზებას; დაამუშავებს სტატისტიკურ მონაცემებს; უზრუნველყოფს ხარისხისა და დროის მენეჯმენტის ეფექტიანობას.

თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის პარალელურად, სამსახური აქტიურად მუშაობდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შექმნის მიმართულებით. 2013–2015 წლებში, სამსახურმა შეიმუშავა და დანერგა „საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობის სახელმძღვანელო წესები“, აგრეთვე — „გაწეული იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესი და კრიტერიუმები“. აღნიშნული დოკუმენტები ევროკავშირისა და USAID-ის აქტიური მხარდაჭერით შემუშავდა.

2014: იურიდიული დახმარების სამსახური – დამოუკიდებელი ორგანიზაცია



იურიდიული დახმარების სისტემის ეფექტიანი საქმიანობისთვის ერთ–ერთ მთავარ წინაპირობას წარმოადგენს ინსტიტუციური და პროფესიული დამოუკიდებლობის გარანტიების არსებობა. აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში ფუნქციონირების 7–წლიანი პერიოდის შემდეგ, 2014 წელს, იურიდიული დახმარების სამსახური პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ, დამოუკიდებელ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა.

სამსახურის მართვის, მისი ფუნქციების ეფექტიანი შესრულების, დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით კოლევგიური ორგანო – იურიდიული დახმარების საბჭო შეიქმნა. საბჭო დაკომპლექტებულია ადვოკატთა ასოციაციის 3 წევრით, ასევე – იუსტიციის სამინისტროს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სახალხო დამცველის, საია–ს, სამეცნირო სფეროსა და იურიდიული დახმარების სამსახურის თითო წარმომადგენლით. საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადა 4 წლია.

საბჭო აღჭურვილია ფართო უფლებამოსილებებით, რომელთა შორისაა სამსახურის დირექტორის არჩევა, სამსახურის სტრატეგიის დამტკიცება და კონტროლი მის შესრულებაზე, სამსახურის დებულებისა და საქმიანობის მარეგულირებელი სხვა დოკუმენტების დამტკიცება, გადაწყვეტილების მიღება იურიდიული დახმარების ოფისების გახსნისა და გაუქმების თაობაზე და სხვა.



2015: სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე მანდატის გაფართოება

2007 წელს „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონის მიღებით, სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, რომ უფასო საადვოკატო მომსახურებას არა მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესში, არამედ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზეც უზრუნველყოფდა. თუმცა, წლების განმავლობაში სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოება ჭიანურდებოდა და გადახდისუუნარო პირებს სასამართლოში თავისი ინტერესების დაცვა ადვოკატის გარეშე უწევდა. 2014 წელს, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, ეს პრობლემა საბოლოოდ გადაიჭრა და 2015 წლის აპრილიდან, სოციალურად დაუცველ პირებს უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის შესაძლებლობა გარკვეული კატეგორიის სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზეც მიეცათ.

საწყის ეტაპზე, საადვოკატო მომსახურება (სასამართლოში წარმომადგენლობა) განხორციელდება საოჯახო და სამემკვიდრეო დავებზე, ასევე სოციალური დაცვის საკითხებზე. ადვოკატის დანიშვნა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი დააკმაყოფილებს გადახდისუუნარობის კრიტერიუმებს, ხოლო საქმე შეფასდება, როგორც რთული და მნიშვნელოვანი.


აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სფეროში, იურიდიული დახმარების საბჭოს გადაწყვეტილებით, დამატებით შეიძლება განისაზღვროს საქმეთა სხვა კატეგორიები, რომლებზეც უფასო საადვოკატო მომსახურების გაწევა მოხდება.

სტატისტიკური მონაცემები




2016 წელს რეესტრის ადვოკატების მიერ წარმოებაში მიღებული საქმეები სამართლის დარგების მიხედვით (სულ 885 საქმე)


■ სისხლის სამართლის საქმეები ■ სამოქალაქო საქმეები ■ ადმინისტრაციული საქმეები




2016: წარმოებაში მიღებული საქმეების რაოდენობა ბიუროების მიხედვით (სულ: 12220 საქმე)





2016: იურიდიული დახმარების ბიუროების წილი სასამართლოების მიერ განხილულ სისხლის სამართლის საქმეებში (სულ: 17429 საქმე)




2016: იურიდიული დახმარების ბიუროების მიერ დასრულებულ სს საქმეებში საპროცესო შეთანხმებათა წილი







2016: "არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით" განსაზღვრული ბენეფიციარების დაცვა იურიდიული დახმარების ბიუროების მიერ (სულ 1328 საქმე)



2016: მომართვა სისხლის სამართლის საქმეში საზოგადოებრივი ადვოკატის ჩართვის თაობაზე




2016: სისხლის სამართლის საქმეზე დასაცავი პირის სტატუსი




სხვა სტატისტიკური ინფორმაცია 2016 წელს წარმოებული სისხლის სამართლის საქმეების შესახებ:

- საპროცესო შეთანხმებით დასრულებული საქმეები: 4470
- გამამართლებელი განაჩენით დასრულებული საქმეები: 58
- ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენით დასრულებული საქმეები: 23
- სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტით დასრულებული საქმეები: 169
- პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდებით დასრულებული საქმეები: 195


2016: იურიდიული დახმარების სამსახურის ბენეფიციარები სერვისების და სქესის მიხედვით





2016: იურიდიული დახმარების ბიუროების მიერ წარმოებაში მიღებული სამოქალაქო საქმეები საკითხების მიხედვით (სულ: 2048 საქმე)




2016: იურიდიული დახმარების ბიუროების მიერ წარმოებაში მიღებული ადმინისტრაციული საქმეები საკითხების მიხედვით (სულ: 939 საქმე)






2016: კონსულტაციის სახეობა

- პირადი
- სატელეფონო
- ონლაინ
- წერილობითი




2016: კონსულტაციების თემატიკა

- სამოქალაქო
- ადმინისტრაციული
- სისხლი
- სოციალური
- სხვა



2016: კონსულტაციის მიმღებთა სოციალური სტატუსი



წარმატებული საქმეები

სისხლის სამართლის საქმეები

ყოველწლიურად, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები ათასობით სისხლის სამართლის საქმეს აწარმოებენ. საზოგადოებრივი ადვოკატების დახმარებით, ათობით ბრალდებულის მიმართ ხდება სასამართლოს მიერ სრულად ან ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენების დადგება, ასეულობით ბრალდებულის მიმართ კი - სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა. გარდა ამისა, არა ერთ საქმეზე, ბრალდებულისთვის ალკვეთის ღონისძიების შეფარდებისას, საზოგადოებრივი ადვოკატები დასაცავი პირისთვის იმაზე უფრო მსუბუქი ღონისძიების შეფარდებას აღწევენ, ვიდრე ბრალდების მხარე მოითხოვდა.

სისხლის სამართლის ყველა საქმეზე ასეთი შედეგების მიღწევა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. თუმცა, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც დაცვის ქვეშ მყოფთა მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დგება, საზოგადოებრივი ადვოკატები არ იშურებენ ძალისხმევას, რომ ბრალდებულს მაქსიმალურად მსუბუქი სასჯელი განესაზღვროს.

2016 წელს, საზოგადოებრივი ადვოკატებით დახმარებით, გამამართლებელი განაჩენი მიღწეულია 58 სისხლის სამართლის საქმეზე, ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი – 23 საქმეზე. სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა 169 სისხლის სამართლის საქმეზე. განრიდების მექანიზმი გამოყენებულ იქნა 195 სისხლის სამართლის საქმეზე.

ანგარიშის ამ თავში წარმოგიდგინთ რამდენიმე წარმატებულ სისხლის სამართლის საქმეს.

ყაჩაღობასა და მკვლელობაში ბრალდებულები გამართლდნენ

იურიდიული დახმარების სამსახურის ფოთის ბიუროს ადვოკატის, დავით გოგუას, ძალისხმევით, ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობასა და მკვლელობაში ბრალდებული ორი პირი სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

ორივე ბრალდებული მრავალი წლის მანძილზე, თავს არიდებდა სამართალდამცავ ორგანოებში გამოცხადებას და იმყოფებოდა მიმალვაში. სავალდებულო დაცვის ფარგლებში, მათ იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი დაენიშნათ.

დათო ნ.—ს ბრალი ედებათ 1993 წელს, დაუდგენელ პირებთან ერთად, ჩადენილ ყაჩაღობაში და სასჯელის სახით 6—დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა. გვიად მ.—სთვის წარდგენილი ბრალდების თანახმად კი, მან, 2003 წელს, ორ თანამზრახველთან ერთად, ჩაიდინა ყაჩაღობა, რა დროსაც, დაზარალებულს სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. გვიად მ.—ს 10—დან 20 წლამდე ვადით თავისუფლებს აღკვეთა ემუქრებოდა.

ორივე საქმე გამოიჩინა ბრალდებულთა მამხილებელი მტკიცებულებების სისუსტით. სასამართლო სხდომაზე, დაცვის მხარემ სასამართლოს ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ბრალდების მოწმეთა ჩვენებები არ იყო თანმიმდევრული, შეიცავდა ურთიერთაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავ განმარტებებს. არ არსებობდა არც ერთი პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც საზოგადოებრივი ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფთა ბრალეულობას დაადასტურებდა. შესაბამისად, ადვოკატმა დავით გოგუამ დათო ნ.—ის და ზვიად მ.—ის გამართლება მოითხოვა.

საბოლოოდ, ორივე სისხლის სამართლის საქმის განხილვა დაცვის მხარის გამარჯვებით დასრულდა და სასამართლომ დათო ნ.—სა და ზვიად მ.—ის მიმართ გამამართლებელი განაჩენები დაადგინა.

ოჯახში ძალადობაში ბრალდებული გამართლდა

იურიდიული დახმარების სამსახურის ქუთაისის ბიუროს ადვოკატი, პავლე კაკაბაძე, იცავდა ბადრი ო.—ს, რომელსაც ბრალი ედებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 1261 მუხლის II ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებაში, რაც წარმოადგენს ოჯახურ ძალადობას, ჩადენილს არაერთგზის, არასრულწლოვნის თანდასწრებით. ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.

დასკვინითი სიტყვის წარმოთქმისას, ადვოკატმა, პავლე კაკაბაძემ, ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საქმეში არ არსებობდა არათუ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, არამედ ერთი პირდაპირი მტკიცებულებაც კი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ბადრი ო.—ს ბრალეულობაზე მსჯელობა. შესაბამისად, დაცვის მხარემ სასამართლოსგან ბრალდებულის გამართლება მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ სრულად გაიზიარა საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია, ბრალდებულ ბადრი ო.ს მიმართ დაადგინა გამამართლებელი განაჩენი და სასამართლოს სხდომის დარბაზიდანვე გაათავისუფლა.

ქურდობისთვის მსჯავრდებული გამართლდა

იურიდიული დახმარების სამსახურის მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატის, ბესიკ ტალახაძის, ძალისხმევით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი ქურდობისთვის მსჯავრდებული აკაკი ჩ. უზენაესი სასამართლოს მიერ სრულად

გამართლდა.

აკაკი ჩ. ადრე ნასამართლები ამავე დანაშაულისთვის. თბილისის საქალაქო სასამართლოს, 2015 წლის 19 თებერვლის განაჩენით და შემდეგ სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 10 ივლისის განაჩენით, იგი მსჯავრდებული იყო 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედებებისათვის: კერძოდ, აკაკი ჩ., თანამზრახველთან – ალექსი ჩ.–სთან ერთად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა ქ. თბილისში მოქმედი ერთ–ერთი შპს–ის 100 ლარად ღირებულ მაგიდას.

ადვოკატმა ბესიკ ტალახაძემ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გასაჩივრა უზენაეს სასამართლოში. დაცვის მხარემ საკასაციო საჩივართ მოითხოვა აკაკი ჩ.–ის გამართლება შემდეგი საფუძვლებით :

საქმეში იყო მხოლოდ ერთი პირდაპირი მტკიცებულება ბრალდებულის – ალექსი ჩ.–ის ჩვენება, რაც არ იყო საკმარისი გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად საჭირო გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტისთვის. დანარჩენი მტკიცებულებები წარმოადგენდნენ მხოლოდ ირიბ მტკიცებულებებს და ვარაუდებს.

საკასაციო საჩივარში ყურადღება ასევე გამახვილდა იმაზე, რომ გასაჩივრებული განაჩენის სამოტივაციო ნაწილში ირიბად გამოყენებული იქნა წინასასამართლო სხდომაზე დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულება – ვიდეოჩანაწერი. აღნიშნული მტკიცებულებები უხეშად არღვევდნენ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნას, რომლის თანახმადაც კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებელია, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას. ასევე საჩივარში აღინიშნა, რომ ისეთი მტკიცებულებები ვერ ჩაითვლებოდა სანდოდ და უტყუარად, რომელთა წყაროს გადამოწმებაც შეუძლებელია. დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულება განაჩენის გამოტანისას არ გამოიყენება და შესაბამისად ვერ გადამოწმდება.

უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა ადვოკატ ბესიკ ტალახაძის სამართლებრივი არგუმენტები და დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი: აკაკი ჩ.–ის მიმართ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი და გაათავისუფლა დარბაზიდან.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ბრალდებული გაამართლა დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობასა და ყაჩაღობაში, ხოლო დამნაშავედ სცნო – ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენაში

იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატი, სულხან კომახიძე, იცავდა ზაზა ს.–ს, რომელსაც ბრალი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19–109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით), 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი

ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჩადენილი სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ) და 390-ე მუხლით (სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდება სხეულის თვითდაზიანებით) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის. საქმე განიხილა ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ.

საქმის მასალების თანახმად, ზაზა ს.-მ, სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან დათხოვნაში ყოფნის დროს, სამხედრო სავალდებულო სამსახურისათვის თავის არიდების მიზნით, მოიკვეთა მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი. 2015 წლის 14 ოქტომბერს, ქ. თბილისში, ყაჩაღური თავდასხმის მიზნით ბრალდებულმა გააჩერა ტაქსი და გადაადგილებისას მძღოლს რამდენჯერმე ჩაარტყა კისერში. ამ უკანასკნელმა, გააჩერა ავტომობილი და სცადა თავდამსხმელისგან თავის დაღწევა, თუმცა ზაზა ს. დაედევნა და დანის მუქარით მოსთხოვა გადაეცა თანხა, მობილური ტელეფონი და ავტომანქანის გასაღები. ჩადენილი დანაშაულის დაფარვის მიზნით, მან განიზრახა მოეკლა ვლადიმერ ი. , ზურგისა და კისრის არეში მიაყენა მრავლობითი დაზიანებები დანით და მიიძალა. ვლადიმერ ი.-მ, რამდენიმე წუთის შემდეგ, შეძლო დახმარების გამოძახება და დროული სამედიცინო ჩარევის შედეგად გადაურჩა სიკვდილს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ სრულად გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია, რომ ბრალდებულს არ ჩაუდენია განზრახ მკვლელობის მცდელობა სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გადაადგილების მიზნით; არ ჩაუდენია ყაჩაღობა სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ; არ ჩაუდენია სხეულის თვითდაზიანება სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდების მიზნით და გაამართლა ბრალდებული წარდგენილ ბრალდებაში.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, დაცვის მხარის შეთავაზებით ზაზა ს, დამნაშავედ სცნო შედარებით ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენაში – ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანების და ძარცვის ჩადენისთვის. ბრალდებულს, საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად, 6 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

ყაჩაღობასა და დანაშაულის შეუტყობინებლობაში ბრალდებულები გამართლდნენ

იურიდიული დახმარების სამსახურის მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატების ბესიკ ტალახაძის და მათი ჯულაყიძის დახმარებით, ორი ბრალდებული გამართლდა.

ბესიკ ტალახაძე იცავდა დავით კ.-ს, რომელსაც ბრალი ედებოდა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი ყაჩაღობასა და გაუპატირების მცდელობაში (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2

ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და ამავე კოდექსის 19,137-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული).

კონკრეტულად, დავით კ.-ს ბრალი ედებოდა მასში, რომ 2015 წლის 6 ივლისს, ბაჩუკი თ-სთან ერთად, ქ. თბილისში, თევდორე მღვდლის N8-ში მდებარე ტანსაცმლის მეორად მაღაზიას თავს დაესხა, სხვადასხვა ნივთების ყაჩაღურად გატაცების მიზნით. თავდასხმის დროს, ბრალდების თანახმად, დავით კ-მ სცადა მაღაზიის გამყიდველის ნათია ბ.ს-თან ძალის გამოყენებით სქესობრივი კავშირის დამყარება, რაც ამ უკანასკნელის წინააღმდეგობის გამო ვერ შეძლო. დავით კ-მ და ბაჩუკი თ-მ ბრალდების თანახმად გაიტაცეს ნათია ბ-ს საფულე, მასში მოთავსებული ფული და პირადობის მოწმობა, მობილური ტელეფონი, შორტები, მაისური და ბოტასები.

ადვოკატმა ბესიკ ტალახაძემ დასკვნით სიტყვაში განაცხადა, რომ საქმეში იყო მხოლოდ ერთი პირდაპირი მტკიცებულება – დაზარალებულის ჩვენება, რაც არ იყო საკმარისი გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად საჭირო გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტისთვის. დანარჩენი მტკიცებულებები წარმოადგენდნენ მხოლოდ ირიბ მტკიცებულებებს და ვარაუდებს.

დაცვის მხარის მიერ ნივთიერი მტკიცებულებების გამოკვლევის ეტაპზე გამოვლინდა დარღვევები. კერძოდ ნივთიერი მტკიცებულებების გამოკვლევისას გამოვლინდა რომ ე.წ. გატაცებული ნივთები მოთავსებული იყო გახეულ პაკეტში, რის გამოც გაჩნდა ეჭვი მათ გამოცვლასა და ავთენტურობასთან დაკავშირებით. ადვოკატმა ბესიკ ტალახაძემ დასკვნით სიტყვაში მოითხოვა რომ აღნიშნული მტკიცებულებები არ უნდა ყოფილიყო გაზიარებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის და ამავე კოდექსის 79-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

ასევე დაცვის მხარის მიერ დაფიქსირდა ბრალდებულის სისხლის ნიმუშის თავდაპირველ ლუქთან დაკავშირებული დარღვევები და ადვოკატმა ბესიკ ტალახაძემ მოითხოვა რომ ავთენტურობასთან და წარმომავლობასთან დაკავშირებული ეჭვების გამო, არ მომხდარიყო სისხლის ნიმუშის და მის საფუძველზე ჩატარებული გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნის გაზიარება.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ადვოკატ ბესიკ ტალახაძის არგუმენტები, დავით კ.-ს მიმართ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი და გაათავისუფლა დარბაზიდან.

ამავე საქმეზე, ადვოკატ მაია ჯულაყიძის დახმარებით გამართლდა მეორე ბრალდებულიც – გიორგი გ., რომელსაც გამოძიება დანაშაულის შეუტყობინებლობას და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შექცენა-გასაღებას ედავებოდა.

ცემასა და მუქარის განხორციელებაში ბრალდებული გამართლდა

იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთა-მთიანეთის ბიუროს ადვოკატის, ქეთევან თალაკვაძის, დახმარებით, ზვიად ა., რომელსაც ბრალი ედებოდა ბინაში მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ შესვლაში, ცემაში, ასევე – სიცოცხლის მოსპობისა და

ჯანმრთელობის დაზიანების მუქარაში, მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

ზვიად ა.—ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო თიანეთის რაიონის სოფელ ხევსურთუბანში მცხოვრები რუსუდან ბ.—ის მიერ სამართდამცველებისადმი მიმართვის საფუძველზე. კერძოდ, რუსუდან ბ. აცხადებდა, რომ ზვიად ა. შემოიჭრა მის სახლში, სცემა და დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით, თუკი მის მიმართ ჩადენილი ძალადობის შესახებ ვინმეს უამბობდა. ზვიად ა.—ს, რომელიც ნაწილობრივ აღიარებდა წარდგენილ ბრალდებებს, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. მას, როგორც გადახდისუუნაროს, დამცველად დაენიშნა საზოგადოებრივი ადვოკატი — ქეთევან თალაკვაძე.

საქმის მასალების შესწავლისა და დაცვის ქვეშ მყოფთან კონსულტაციის შემდეგ, ქეთევან თალაკვაძემ თავდაპირველად სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა ზვიად ა.—ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, თუმცა, შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის მიღების შემდეგ, მუშაობა განაგრძო ზვიად ა.—ს გამართლების მიმართულებით.

დაცვის მხარის ძირითადი არგუმენტს წარმოადგენდა საქმეში უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობის არარსებობა. ბრალდების მხარე ეყრდნობოდა ერთადერთ პირდაპირ მტკიცებულებას — რუსუდან ბ.—ის ჩვენებებს, რომლებიც ერთმანეთთან წინააღმდეგობრივი იყო. ეჭვს იწვევდა დაზარალებულის ადეკვატურობაც, რადგან მან, ჩვენების მიცემისას, ვერ გაიხსენა საკუთარი დაბადების თარიღი. გარდა ამისა, ჩატარებულმა ექსპერტიზამ რუსუდან ბ.—ის სხეულზე მექანიკური დაზიანების ვერანაირი კვალი ვერ გამოავლინა.

ზემოაღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით, ადვოკატმა ქეთევან თალაკვაძემ ბრალდებულის გამართლება მოითხოვა. საბოლოოდ, სასამართლომ გაიზიარა საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია, ზვიად ა. უდანაშაულოდ ცნო და სხდომის დარბაზიდანვე გათავისუფლა.

ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებაში ბრალდებული გამართლდა

ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებაში ბრალდებული სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო. სამტრედიის რაიონულ სასამართლოში ბრალდებულ ი.თ.—ს ინტერესებს იურიდიული დახმარების სამსახურის ქუთაისის ბიუროს ადვოკატი, ოთარ რუხაძე, იცავდა.

ი. თ.—ს ბრალდების მხარე დაზარალებულის ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას ედავებოდა. იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე ჩაერთო. საქმის მასალების გაცნობის შემდეგ გაირკვა, რომ მტკიცებულებები უკანონოდ მოიპოვეს და საქმის განხილვაზე არ წარადგინეს.

დასკვნით სიტყვაში, ადვოკატმა ბრალდებულის უდანაშაულოდ ცნობა და გამამართლებელი განაჩენის დადგენა მოითხოვა. დაცვის მხარემ სასამართლოს სთხოვა, არ გაეზიარებინა არც სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა და არც შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, რადგან ამ ორივე დოკუმენტს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1 ნაწილის შესაბამისად, არ გააჩნდათ მტკიცებულებითი ძალა. აღნიშნულ არგუმენტად ადვოკატმა ის ფაქტი დაასახელა, რომ დაცვის მხარეს არ მიეცა შესაძლებლობა სასამართლოში მოწმედ დაეკითხა პირი, რომელმაც მოიპოვა ან შექმნა მტკიცებულება ან რომელთანაც ინახებოდა დოკუმენტი სასამართლოში წარდგენამდე.

საბოლოოდ, სასამართლომ ადვოკატ ოთარ რუხაძის პოზიცია გაიზიარა და ი.თ. უდანაშაულოდ ცნო.

დანაშაულის შეუტყობინებლობაში ბრალდებული გამართლდა

იურიდიული დახმარების სამსახურის სამცხე-ჯავახეთის ბიუროს საზოგადოებრივი ადვოკატის, პაატა მანველიშვილის, დახმარებით, დარიკო შ., რომელსაც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

საქმის მასალების მიხედვით, დარიკო შ. გახდა მოწმე იმისა, თუ როგორ განიხილავდა ბოროტმოქმედთა ჯგუფი ვალუტის გადახურდავების სფეროში მომუშავე პირის დაცვალების გეგმას და, შემდგომ — ჩადენილი ყაჩაღობის დეტალებს, თუმცა აღნიშნულის თაობაზე სამართალდამცველებს არ შეატყობინა.

თავდაპირველად, ბრალდებულს იცავდა კერძო ადვოკატი, თუმცა პროცესებზე მისი გამოუცხადებლობის გამო, დარიკო შ.—ს, სახელმწიფოს ხარჯზე, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი დაენიშნა.

ბრალდების მხარის პოზიცია ძირითადად ყაჩაღობაში ბრალდებულთა ჩვენებებს ეფუძნებოდა. თუმცა, სასამართლოში დაკითხვისას მათმა ნაწილმა დუმილის უფლებით ისარგებლა, ნაწილმა კი თავის ჩვენებაში დარიკო შ.—ს თაობაზე არაფერი თქვა.

ასეთ ვითარებაში, ადვოკატმა პაატა მანველიშვილმა მოითხოვა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლება, ვინაიდან დარიკო შ.—ის საწინააღმდეგო მტკიცებულებები, რაც გამოძიების ეტაპზე არსებობდა და რასაც ბრალდება ეყრდნობოდა, სასამართლო პროცესზე გამოკვლევის დროს არ დადასტურდა.

საბოლოოდ, ახალციხის რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია და დარიკო შ.—ის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

სახელმწიფო ქონების მითვისებაში ბრალდებული გამართლდა

იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის, იოსებ ნატროშვილის, დახმარებით, სახელმწიფო ქონების მითვისებაში ბრალდებული ე.ა. სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

დანაშაული, რომლის გამოც ე.ა.—ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო, მოხდა 1997—1999 წლების შუალედში. გამოძიება ე.ა.—ს, რომელიც იმ პერიოდში „თბილისის სამშენებლო და ავტომექანიზაციის პროფესიულ სასწავლებელში“ მძღოლ-ინსტრუქტორად მუშაობდა, ედავებოდა სახელმწიფოს ბალანსზე რიცხული ავტომობილის — „კამაზ—53212“—ის მითვისებას, რის შედეგადაც სახელმწიფოს 2669 ლარის ოდენობის ზიანი მიაღწა.

იმ საფუძველით, რომ ე.ა. წლების განმავლობაში თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას, მას, სავალდებულო დაცვის ფარგლებში, იურიდიული დახმარების სამსახურის საზოგადოებრივი ადვოკატი დაენიშნა. ე.ა.—ს ბრალი 2007 წელს წაუყენეს და, აღკვეთის ღონისძიების სახით, დაუსწრებლად შეუფარდეს პატიმრობა.

საქმეში ჩართვის შემდეგ, ადვოკატმა იოსებ ნატროშვილმა შეისწავლა საქმის მასალები, რის შედეგადაც არაერთი პროცესუალური დარღვევა გამოიკვეთა. კერძოდ, ე.ა.—სთვის წარდგენილი ბრალდება ეფუძნებოდა არა დანაშაულის ჩადენის დროისათვის მოქმედ კანონმდებლობას, არამედ შემდგომ პერიოდში მიღებულ სისხლის სამართლის კოდექსს, რაც დარღვევას წარმოადგენდა. ამასთან, სისხლის სამართლის საქმეზე უკვე გასული იყო ხანდაზმულობის ვადა, შესაბამისად, ე.ა.—ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაწყებულიყო. ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, სასამართლოს ასევე დაუშვებლად უნდა ეცნო ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. გარდა ამისა, თავად ეს მტკიცებულებებიც მოპოვებული იყო პროცესუალური მოთხოვნების დარღვევით.

გემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატმა იოსებ ნატროშვილმა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლება მოითხოვა. თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია და ე.ა.—ს მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

ცემასა და ნივთის დაზიანებაში ბრალდებული გამართლდა

იურიდიული დახმარების სამსახურის ზესტაფონის ბიუროს საზოგადოებრივი ადვოკატის, თამარ ორჯონიკიძის, დახმარებით, ცემასა და სხვისი ნივთის დაზიანებაში ბრალდებული რევაზ ბ. სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

საქმის მასალების მიხედვით, რევაზ ბ.-მ, შელაპარაკების დროს, სცემა დავით ს. და მნიშვნელოვნად დააზიანა ამ უკანასკნელის ავტომობილი. ბრალდებულს დამცველად საზოგადოებრივი ადვოკატი, თამარ ორჯონიკიძე, დაენიშნა.

საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, საზოგადოებრივმა ადვოკატმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საქმეში არ მოიპოვებოდა არც ერთი პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც რევაზ ბ.-ის ბრალეულობას დაადასტურებდა. სამედიცინო ექსპერტიზით უტყუარად არ დასტურდებოდა დაზარალებულის სხეულზე არსებული ტრავმების მიყენების ზუსტი დრო. ამასთან, შსს-ის ტრასოლოგიური-სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დადგინდა რომ ავტომობილისთვის მიყენებული ზიანი 70 ლარს არ აღემატებოდა. ამ გარემოებების და ასევე მოწმეთა ჩვენებებს შორის არსებული წინააღმდეგობების გათვალისწინებით, დაცვის მხარემ ბრალდებულის გამართლება მოითხოვა.

საბოლოოდ, ზესტაფონის რაინულმა სასამართლომ გაიზიარა საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია და რევაზ ბ.-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

პირი, რომელსაც 20 წლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა

იურიდიული დახმარების სამსახურის ქუთაისის ბიუროს ადვოკატი ირაკლი შენგელია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მსჯავრდებულ ს.თ.-ს ინტერესებს იცავდა. ს.თ.-ს პირველი ინსტანციის სასამართლომ 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მას ბრალი ედებოდა განზრახ მკვლელობის მცდელობაში ორი ან მეტი პირის მიმართ და საბრძოლო მასალის უკანონო ტარებაში.

"საქმის სააპელაციო ინსტანციაში განხილვის პროცესში ბრალდების მხარემ ვერ დაასაბუთა მისი პოზიცია პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის კანონიერებასთან და დასაბუთებულობასთან დაკავშირებით, პროკურორმა ასევე ვერ შეძლო წარმოედგინა საკმარისი მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა მსჯავრდებულ ს.თ.-ის მიერ დანაშაულის ჩადენას. დაცვის მხარემ საკუთარ დასკვნით სიტყვაში ყურადღება გაამახვილა საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებაზე, ვინაიდან მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში ბრალდება მხოლოდ ირიბ მტკიცებულებებს ეფუძნებოდა და აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, ირიბი ჩვენება არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი. მხოლოდ ირიბი მტკიცებულება ვერ გახდება პირის დამნაშავედ ცნობის საფუძველი, თუ არ არის ერთმანეთთან შეთანხმებული, უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა საქმეში, რომელიც საკმარისია პირის დამნაშავედ ცნობისთვის," - აცხადებს ადვოკატი ირაკლი შენგელია.

საბოლოოდ ადვოკატ ირაკლი შენგელიამ მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის უდანაშაულოდ ცნობა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა მოითხოვა. სასამართლომ სრულად გაიზიარა ადვოკატის პოზიცია და ს.თ. უდანაშაულოდ ცნო და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

ქურდობაში ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა

იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთა–მთიანეთის ბიუროს საზოგადოებრივი ადვოკატის, მურმან ნიკოლეიშვილის, დახმარებით, ქურდობის მცდელობაში ბრალდებულის, კობა პ.—ის მიმართ, სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა.

საქმის მასალების მიხედვით, დაზარალებულმა გ. გ.—მ სამართალდამცველებს მიმართა თავისი გარდაცვლილი ძმის კუთვნილი ნივთების ქურდობის ფაქტზე. საქმეზე, ბრალდებულის სახით, დაკავებულ იქნა გარდაცვლილი პირის მეზობელი — კობა პ., რომელსაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

საქმეში საზოგადოებრივი ადვოკატის მურმან ნიკოლეიშვილის ჩართვის შემდეგ, დაცვის მხარემ ბრალდებულის პატიმრობიდან გათავისუფლებას და მისთვის უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების შეფარდებას მიაღწია. შემდგომ კი ადვოკატმა მურმან ნიკოლეიშვილმა მიმართა პროკურატურას, ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შუამდგომლობით, რაც არ დაკმაყოფილდა.

კობა პ. თავს დამნაშავედ არ ცნობდა. მისი თქმით, მეზობელმა, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, მას ხელსაწყოები აჩუქა. ნაჩუქარი ნივთების წამოღება კი უკვე მეზობლის გარდაცვალების შემდეგ შეძლო. იგივეს ადასტურებდნენ მოწმეებიც, რომლებიც სასამართლოში დაიკითხნენ.

საბოლოოდ, პროკურატურამ უარი თქვა წარდგენილ ბრალდებაზე, რის საფუძველზეც, სასამართლომ გამოიტანა განჩინება კობა პ.—ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.

ნარკოტიკულ დანაშაულში ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა

იურიდიული დახმარების სამსახურის სამეგრელოს–ფოთის ბიუროს ადვოკატის, დავით გოგუას დახმარებით, ბრალდებულ მოგელი ყ.—ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა.

მოგელი ყ.—ს ბრალი ედებოდა სსსკ—ს 265—ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის (ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება, განსაკუთრებით დიდი ოდენობით) ჩადენაში და ემუქრებოდა თავისუფლების აღკვეთა 6—დან 12 წლამდე ვადით. ფოთის საქალაქო სასამართლოს მას აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. ადვოკატმა დავით გოგუამ გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება და მოითხოვა ბრალდებულის მიმართ 3000 ლარიანი გირაოს გამოყენება, რასაც ასაბუთებდა იმით, რომ ბრალდებულმა ითანამშრომლა პოლიციასთან, აღიარა და

მონანია საკუთარი დანაშაული, ასევე ის არ იყო ნასამართლები. გარდა ამისა, ბრალდებული იყო სოციალურად დაუცველი და მარტო ზრდიდა თავის მცირეწლოვან შვილს. ბრალდების მხარემ ვერ შეძლო წარმოედგინა კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებიც მიუთითებდა ბრალდებულის მოსალოდნელი მიმალვის საფრთხეზე. შედეგად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ადვოკატის მოთხოვნა, გააუქმა პატიმრობა, მოგელი ყ.—ს შეუფარდა გირაო 5000 ლარის ოდენობით და გაათავისუფლა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

რამდენიმე დღის შემდეგ, ფოთის შსს—ს საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა მოგელი ყ. გადაიყვანეს ფსიქიკური ჯანმრთელობის ერთ—ერთ ცენტრში, რამაც ეჭვქვეშ დააყენა ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობის საკითხი. იურიდიული დახმარების სამსახურმა უზრუნველყო მოგელი ყ.—სთვის სტაციონარული სასამართლო—ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ის დაავადებული იყო ორგანული ჰალუციონიზმით და დანაშაულის ჩადენის მომენტში იმყოფებოდა შეურაცხად მდგომარეობაში. ამის გათვალისწინებით, ადვოკატმა დავით გოგუამ შუამდგომლობით მიმართა ფოთის საქალაქო სასამართლოს მოგელი ყ.—ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის მიზნით მისი ექვსი თვის ვადით ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში მოთავსების მოთხოვნით. სასამართლომ გაიზიარა ადვოკატის პოზიცია და მისი მოთხოვნა სრულად დააკმაყოფილა.

ქურდობასა და სხვისი ნივთის განადგურებისათვის მსჯავრდებულს სასჯელი შეუმსუბუქდა

იურიდიული დახმარების სამსახურის აჭარის ბიუროს ადვოკატის, დავით გოგვაძის, დახმარებით, თემურ ქ.—ს, რომელსაც მსჯავრი დაედო სხვისი ნივთის განადგურებასა და ქურდობაში, სასჯელი შეუმსუბუქდა.

თემურ ქ.—ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა რამდენიმე ბრალდებით მიმდინარეობდა. თავდაპირველად, მას ბრალი წარედგინა ერთ—ერთი სახელმწიფო უწყების საკუთრებაში არსებული ავტომობილის დაზიანებაში, რამაც 250 ლარის ოდენობის მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. აღნიშნულ საქმეზე სისხლის სამართლის პროცესი დასრულებული არ იყო, როდესაც თემურ ქ.—მ კიდევ ერთი დანაშაული ჩაიდინა, კერძოდ, ერთ—ერთი მაღაზიიდან მოიპარა ძვირადღირებული ალკოჰოლური სასმელი.

მაქნანის დაზიანების საქმეზე თემურ ქ.—ის განესაზღვრა ორწლიანი პირობითი სასჯელი. პარალელურად, გრძელდებოდა ალკოჰოლური სასმელის ქურდობასთან დაკავშირებული საქმის განხილვა, თუმცა, მოკლე ხანში, უკვე პირიბითი მსჯავრის ქვეშ, თემურ ქ.—მ ისევ ჩაიდინა ალკოჰოლის ქურდობა.

აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სტანდარტების გათვალისწინებით, თემურ ქ.—ს, ალკვეთის ღონისძიების სახით, პირველი ორი დანაშაულისთვის მხოლოდ გირაო შეეფარდა, მესამე საქმეზე კი — გირაო პატიმრობის

უზრუნველყოფით. ამასთან, ბრალდებულმა ვერც ერთხელ ვერ უზრუნველყო გირაოს შეტანა.

თემურ ქ., როგორც 21 წელს მიუღწეველი, ექვემდებარებოდა სავალდებულო დაცვას, ამიტომ მას იურიდიული დახმარების სამსახურის აჭარის ბიუროს ადვოკატი, დავით გოგვაძე დაენიშნა.

ადვოკატმა დავით გოგვაძემ გაასაჩივრა მანქანის დაზიანების საქმეზე გამოტანილი განაჩენი, რომელიც ორწლიან პირობით სასჯელს ითვალისწინებდა, და სააპელაციო სასამართლოსგან, პირობითი სასჯელის ნაცვლად, თემურ ქ.–ისთვის 500 ლარის ოდენობის ჯარიმის დაკისრება მოითხოვა. სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა დაცვის მხარის საჩივარი, გააუქმა პირობითი სასჯელი და თემურ ქ.–ს 700 ლარის ოდენობის ჯარიმა დააკისრა.

ამის შემდეგ, ადვოკატმა დავით გოგვაძემ სასამართლოში მოითხოვა ქურდობის საქმეების გაერთიანება, რაც დაკმაყოფილდა. საბოლოოდ, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, თემურ ქ.–ს სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლისა და 3 თვის ვადით, საიდანაც 3 თვე დაენიშნა პატიმრობაში მოხდით, ხოლო 2 წელი ჩაეთვალა პირობით.

სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები

2015 წლიდან, საქართველოს მოქალაქეებს მიეცათ შესაძლებლობა, კანონით დადგენილ შემთხვევებში, სახელმწიფოს ხარჯზე, უფასოდ ისარგებლონ იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატის მომსახურებით გარკვეული კატეგორიის სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, კერძოდ, ისეთ დავებზე, რომელიც უკავშირდება საოჯახო, მემკვიდრეობის და სოციალური დაცვის საკითხებს. გარდა ამისა, ადვოკატის დანიშვნა სავალდებულო გახდა ისეთი პირებისათვის, რომელთა მიმართაც სასამართლო განიხილავს „მხარდაჭერის მიმღების“ სტატუსის მინიჭების საკითხს. აღნიშნულ საქმეებზე, სავალდებულო დაცვას იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს.

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოების შედეგად, უფასო საადვოკატო მომსახურებით ასობით მოქალაქემ ისარგებლა. ანგარიშის ამ თავში წარმოდგენილია საქმეები, რომლებიც მოგიტხრობთ იმის შესახებ, თუ როგორც შეძლეს სოციალურად დაუცველმა დედებმა შვილებისათვის ალიმენტის მიღება; როგორ მოიგეს იძულებით გადაადგილებულმა პირებმა სახელმწიფოსთან მიმდინარე დავა, საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე; როგორ შეძლეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებმა შეწყვეტილი სოციალური დახმარების აღდგენა; დაზარალებულმა მოქალაქეებმა კუთვნილი კომპენსაციისა და ანაზღაურების მიღება.

იურიდიული დახმარების სამსახური განაგრძობს მუშაობას, რომ გააფართოვოს თავისი მანდატი სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სხვა საკითხებზეც.

ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ფაქტზე პირის მიმართ დაწყებული ადმინისტრაციული სამართალწარმოება შეწყდა

იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიუროს მიმართა ლაშა შ.—მ, რომლის მიმართაც რუსთავის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობდა ადმინისტრაციული სამართალწარმოება ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ფაქტზე.

ლაშა შ.—ს სახდელის სახით ემუქრებოდა 15 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობა. მის საქმეზე მუშაობა დაევალა იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიუროს უფროსს — ადვოკატ იოსებ ჯამასპიშვილს.

საქმის მასალების გაცნობის შემდეგ, იოსებ ჯამასპიშვილმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმსა და საექსპერტო დასკვნებში მთელი რიგი დარღვევები და შეუსაბამობები აღმოაჩინა. ადვოკატმა სასამართლოს ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებებზე, რომ არ დასტურდებოდა ექსპერტიზისთვის აღებული ბიოლოგიური მასალის კუთვნილება ლაშა შ.—სადმი. გარდა ამისა, სამართალდარღვევის

გამოვლენა, ადმინისტრაციული ოქმის გამოცემა და სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება მოხდა საპროცესო ვადების დარღვევით.

საბოლოოდ, რუსთავის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ადვოკატ იოსებ ჯამასპიშვილის არგუმენტები და ლაშა შ.–ს მიმართ ადმინისტრაციული საქმის წარმოება შეწყვიტა.

უგზო–უკვლოდ დაკარგული მეომრის დედამ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს დავა მოუგო

იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს, წარმომადგენლის მეშვეობით, მიმართა ანნა ბ.–მ, რომელსაც სურდა მოეპოვებინა „ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს უგზო–უკვლოდ დაკარგული მეომრის ოჯახის წევრის“ სტატუსი და, ამის საფუძველზე, სახელმწიფოსგან ყოველთვიურად 1000 ლარის ოდენობის კომპენსაცია მიეღო.

ანნა ბ.–ს შვილი 1992 წელს უგზო–უკვლოდ დაიკარგა აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს. 2014 წელს, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაკარგული მეომარი გამოცხადდა გარდაცვლილად. გარდაცვალების თარიღად განისაზღვრა 1993 წლის 1 ოქტომბერი, ადგილად კი – აფხაზეთი.

სწორედ სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას დაეყრდნო ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური, რომელმაც უარი უთხრა ანნა ბ.–ს განცხადების დაკმაყოფილებასა და მისთვის დაკარგული მეომრის ოჯახის წევრის სტატუსის მინიჭებაზე. უარის თქმის მიზეზად მითითებული იყო ის გარემოება, რომ ანნა ბ.–ის შვილის გარდაცვალების თარიღად სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებული იყო 1993 წლის 1 ოქტომბერი – თარიღი, როდესაც აფხაზეთში საომარი მოქმედებები დასრულებული იყო, ხოლო ქართული საბრძოლო დანაყოფები გამოყვანილი იყვნენ აფხაზეთის ტერიტორიიდან.

იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატმა, ვლადიმერ გამრეკელაშვილმა, შეადგინა სარჩელი, რომლითაც თბილისის საქალაქო სასამართლოსგან მოითხოვა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ ანნა ბ.–ს მიმართ მანამდე მიღებული ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობა და ახალი გადაწყვეტილების მიღება, რითაც ანნა ბ.–ს „ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს უგზო–უკვლოდ დაკარგული მეომრის ოჯახის წევრის“ სტატუსს მიენიჭებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულმა პალატამ აღნიშნული სარჩელი სრულად დააკმაყოფილა. თუ მოპასუხე მხარე ამ გადაწყვეტილებას ზემდგომ ინსტანციაში არ გაასაჩივრებს, ანნა ბ.–ს 1000 ლარის ოდენობის ყოველთვიური სახელმწიფო კომპენსაცია დაენიშნება.

იძულებით გადაადგილებულმა პირმა ეკონომიკის სამინისტროსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან დავა მოიგო

იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის, აბელ გეგიას, ძალისხმევით, აფხაზეთიდან დევნილმა ქორდიკო ს.–მ პირველი ინსტანციის სასამართლოში მოიგო ეკონომიკის სამინისტროსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან არსებული დავა, რომელიც საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებას ეხებოდა.

ქორდიკო ს.–მ იურიდიული დახმარების სამსახურს მიმართა მას შემდეგ, რაც დევნილთა სამინისტროსგან მიიღო უარი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე. უარის მიზეზი გახდა რამდენიმე წლის წინ ქორდიკო ს.–ის შვილთან – მალხაზ გ.–სთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის პირობითაც, საცხოვრებელი ბინით კმაყოფილდებოდა როგორც მალხაზ გ., ისე თავად ქორდიკოც.

ადვოკატმა აბელ გეგიამ შეისწავლა საქმის დეტალები და სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, რომლისგანაც მოითხოვა: 1) მალხაზ გ.–სა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, ქორდიკო ს.–ის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების ნაწილში. 2) საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 2 თებერვლის №62 განკარგულების ბათილად ცნობა, საცხოვრებელი ფართის პირდაპირი მიყიდვის ფორმით ქორდიკო ს.–სთვის გადაცემის ნაწილში.

საქმის სასამართლოში განხილვისას, საქმეში მესამე პირად ჩაერთო დევნილთა სამინისტრო. მოპასუხეთა და მესამე პირის წარმომადგენლებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ სარჩელი იყო უსაფუძვლო და ხანდაზმული.

საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა ადვოკატ აბელ გეგიას მიერ შედგენილი სარჩელი. იმ შემთხვევაში, თუ საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევა, ქორდიკო ს. მოიპოვებს უფლებას, მოსთხოვოს დევნილთა სამინისტროს მისთვის საცხოვრებელი ფართის გადაცემა.

არასრულწლოვნის მიმართ შეწყდა ხულიგნობისა და პოლიციელისადმი დაუმორჩილებლობის ფაქტზე დაწყებული ადამინისტრაციული სამართალწარმოება

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს წარმოებაში იყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე არასრულწლოვანი თ.ს.–ის მიმართ (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის კოდექსის 166–ე და 173–ე მუხლებით).

არასრულწლოვნის მიმართ შედგენილი იყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი მასზედ, რომ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი თ.ს. იგინებოდა და ილანძღებოდა უცენზურო სიტყვებით საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე; პოლიციის მოთხოვნას – შეეწყვიტა ამგვარი ქმედება – თ.ს. არ დაემორჩილა და სამართალდამცავებსაც მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა.

საპატრულო პოლიციის მომართვის საფუძველზე, არასრულწლოვნის დაცვა დაევალა იურიდიული დახმარების სამსახურის შიდა ქართლის ბიუროს ადვოკატს, მათა გრიგოლიშვილს. საქმის მასალების გაცნობის შემდეგ, მან აღმოაჩინა, რომ თ.ს. –ის მიმართ ადმინისტრაციული საქმე აწარმოა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არასპეციალიზირებულმა პირმა, რომელმაც შეადგინა ადმინისტრაციული დაკავების და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები.

სასამართლო სხდომაზე, ადვოკატმა, მათა გრიგოლიშვილმა, ყურადღება გაამახვილა ზემოაღნიშნულ გარემოებაზე და იმუამდგომლა საქმის წარმოების შეწყვეტა.

გორის რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატის პოზიცია და არასრულწლოვნის მიმართ ადმინისტრაციული საქმის წარმოება შეწყვიტა.

უსინათლოთა ოჯახის სოციალური შემწეობა აღუდგა

იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატი, მათიკო ხურციძე, იცავდა იმედა ბ.–ის ოჯახს, რომელსაც სოციალური შემწეობა შეუწყდა.

იმედა ბ.–ის ოჯახი, როგორც სოციალურად დაუცველი, შემწეობას 2015 წლის თებერვლამდე იღებდა. 2015 წლის იანვარში ოჯახის ქონებრივი მდგომარეობა შემოწმდა, რის შედეგადაც დადგინდა ახალი სარეიტინგო ქულა – 59040. აღნიშნულმა სარეიტინგო ქულამ ოჯახისთვის შემწეობის შეწყვეტა განაპირობა. იმედა ბ.–ის მიერ სარეიტინგო ქულასთან დაკავშირებით პრეტენზიის წარდგენის შემდეგ, ოჯახი ხელახლა გადამოწმდა, თუმცა ამჯერად უფრო მაღალი ქულა – 65980 მიენიჭა.

სოციალური შემწეობის შეწყვეტის გამო, ოჯახი, რომელიც ორი უსინათლო პირველი ჯგუფის შშმ პირისგან და მცირეწლოვანი ბავშვისგან შედგებოდა, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. დეკლარაციაში ასახული ნივთებიდან – გამათბობელი ოჯახის საჩუქრად უსინათლოთა კავშირმა გადასცა, ხოლო გაბქურა სამწლიანი განვადებით იყო შეძენილი, რაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო დეკლარაციის შევსებისას.

თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატმა, მათიკო ხურციძემ, შეადგინა სარჩელი და ოჯახის წარმომადგენლობა პირველი ინსტანციის სასამართლოში

განახორციელა. შედეგად, სასამართლომ მოსარჩელის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო: ბათილად სცნო სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც იმედა ბ.—ის ოჯახს მინიჭებული ჰქონდა მაღალი ქულა და სააგენტოს დაავალა ახალი აქტის გამოცემა.

სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოსცა ახალი აქტი. ოჯახს მიენიჭა 12780 სარეიტინგო ქულა და სოციალური შემწეობა აღუდგა.

მცირეწლოვან ბავშვს ალიმენტი დაენიშნა

იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთა-მთიანეთის ბიუროს კონსულტანტი, ირინე ბარბაქაძე, ალიმენტთან დაკავშირებულ დავაში, ორი ინსტანციის სასამართლოში, სოციალურად დაუცველ ცირიკო მ.—ს იურიდიულ დახმარებას უწევდა.

ირინე ბარბაქაძის ძალისხმევით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ცირიკო მ.—ის სარჩელი დაკმაყოფილდა და მის ყოფილ მეუღლეს, მცირეწლოვანი შვილის სასარგებლოდ, 150 ლარის ოდენობის ალიმენტის გადახდა დაეკისრა. თუმცა, მოპასუხე მხარემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრა. ამიტომ, ირინე ბარბაქაძემ ცირიკო მ.—ისთვის იურიდიული დახმარების გაწევა სააპელაციო სასამართლოშიც განაგრძო.

სააპელაციო საჩივარში, ბავშვის მამამ ალიმენტის ოდენობის 150—დან 80 ლარამდე შემცირება მოითხოვა. მოთხოვნას კი ასაბუთებდა იმ გარემოებით, რომ შექმნილი ჰქონდა მეორე ოჯახი და მეორე მეუღლესთან ახლახანს შეეძინა ბავშვი, რომელიც მამისგან მატერიალურ მხარდაჭერას საჭიროებდა.

იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტმა, ირინე ბარბაქაძემ, შეადგინა შესაგებელი, რომელშიც აღინიშნა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება და სამართლიანობა. ყურადღება გამახვილდა იმ გარემოებაზე, რომ ბავშვის მამა პრაქტიკულად უარს ამბობდა მშობლის მოვალეობის შესრულებაზე და არ ურთიერთობდა შვილთან. შესაგებელში მითითებული იყო შემოსავლის ახალი წყაროც, რომელიც ბავშვის მამას გაუჩნდა. კერძოდ, მას შექმნილი ჰქონდა სატვირთო ავტომობილი, რომელსაც აქირავებდა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ირინე ბარბაქაძეს შესაგებელში მოყვანილი ჰქონდა მთავარი კონტრარგუმენტი: როგორც გაირკვა, სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უნდა მიეღო წარმობაში ბავშვის მამის საჩივარი, რადგანაც იგი არ აკმაყოფილებდა დასაშვებობის კრიტერიუმებს (დავის საგნის ღირებულება არ აღემატებოდა 1000 ლარს).

საბოლოოდ, სააპელაციო სასამართლომ მოსაპუხის სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველი. ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ცირიკო მ.—ის შვილს 150 ლარის ოდენობის ალიმენტი დაენიშნა.

მოქალაქეებმა მოიგეს დავა, რომელიც უკანონოდ მითვისებულ ქონებას ეხებოდა

იურიდიული დახმარების სამსახურის სამცხე-ჯავახეთის ბიუროს კონსულტანტის, თინათინ დიაკონაშვილის, დახმარებით, მოქალაქეებმა ნათელა და ირმა გ.—ებმა ქონებრივი დავა მოიგეს.

დებს — ნათელა და ირმა გ.—ებს საკუთრების უფლებით ეკუთვნოდათ ბორჯომის რაიონის სოფელ ჩითახევში მდებარე სახლის 1/8 წილი, ხოლო კიდევ 1/8 წილი წარმოადგენდა მათ სამკვიდრო ქონებას, რომელიც ბებიისგან ერგოთ. 2010 წელს, არასწორად შედგენილი აზომვითი საკადასტრო ნახაზისა და არასრულყოფილი უფლებადამდგენი დოკუმენტის გამოყენებით, აღნიშნული ქონება დაირეგისტრირა და, ფაქტობრივად, მითვისა მათმა მეზობელმა ქსენია ბ.—მ.

ამის შემდეგ, ქსენია ბ.—მ საკუთარ სიძეს, მინდობილობით, მიაყიდინა მითვისებული ქონება თავის ორ შვილიშვილზე. 2014 წელს, ერთ-ერთი შვილიშვილის გარდაცვალების შემდეგ, ქონება მემკვიდრეობით ერგო ქსენია ბ.—ის შვილიშვილების მშობლებს.

ნათელა გ.—ის მომართვის შემდეგ, აღნიშნულ საქმეზე მუშაობა დაიწყო იურიდიული დახმარების სამსახურის სამცხე-ჯავახეთის ბიუროს კონსულტანტმა, თინათინ დიაკონაშვილმა. მან ყურადღებით შეისწავლა საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტები, საინადაც იკვეთებოდა ქონების მითვისების ფაქტი. ამასთან, თინათინ დიაკონაშვილმა მოიძია ამავე სადაო ქონებასთან დაკავშირებით 1992 წელს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება, რომლის მიხედვითაც, ნათელა და ირმა გ.—ების ბებიას დაუკმაყოფილდა მოთხოვნა — საცხოვრებელ ფართში შეჭრის გამო მისი მეზობლის ქსენია ბ.—ის გამოსახლების თაობაზე.

კონსულტანტმა თინათინ დიაკონაშვილმა შეადგინა სარჩელი, რომლითაც ნათელა გ.—მ მიმართა სასამართლოს და მოითხოვა: იმ საკადასტრო-აზომვითი ნახაზების ბათილად ცნობა, რომლითაც ქსენია ბ.—მ სხვისი ქონების მითვისება შეძლო; ასევე, ქსენია ბ.—სა და მის შვილიშვილებს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა (მოსარჩელის ქონების ნაწილში).

საბოლოოდ, ახალციხის რაიონულმა სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა თინათინ დიაკონაშვილის მიერ შედგენილი სარჩელი და ნათელა და ირმა გ.—ებს გაუჩნდათ სამართლებრივი საფუძველი სადავო ქონების საკუთრებაში დასარეგისტრირებლად.

მარტოხელა დედამ დევნილთა სამინისტროს დავა მოუგო

იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის, თეა ყაულაშვილის, ძალისხმევით, მარტოხელა დედამ, ინგა გ.—მ, მოუგო დავა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (დევნილთა სამინისტროს).

ინგა გ.—მ იურიდიული დახმარების სამსახურს მიმართა მას შემდეგ, რაც მას და მის არასრულწლოვან შვილებს — თათა და ალექსანდრე გ.—ებს დევნილთა სამინისტრომ იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი ჩამოართვა (იმ მოტივით, რომ დევნილის სტატუსის მოპოვება მოხდა ყალბი საბუთებისა და ინფორმაციის წარდგენის საფუძველზე).

2015 წლამდე, ინგა გ., შვილებთან ერთად, რეგისტრირებული იყო როგორც აფხაზეთიდან დევნილი და ცხოვრობდა თბილისის ერთ-ერთი სკოლის შენობაში. იგი იყო სოციალურად დაუცველი, მარტოხელა დედა. დევნილის სტატუსის ჩამორთმევით მთელი ოჯახი დადგა სახელმწიფოსგან გადაცემული თავშესაფრის დაკარგვის და ღია ცისქვეშ დარჩენის საფრთხის წინაშე. გარდა ამისა, ოჯახი კარგავდა პერსპექტივას, სახელმწიფოსგან მიეღო გრძელვადიანი საცხოვრებელი.

მოცემულ საქმეზე გაიმართა არაერთი სასამართლოს სხდომა, სადაც მოპასუხე — დევნილთა სამინისტრო სადავოდ ხდიდა იმ გარემოებას, რომ ინგა გ.—ის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენდა აფხაზეთი. სამინისტრო ამკტიცებდა, რომ ინგა გ.—ის აფხაზეთი არ დაუტოვებია საომარი მოქმედებების გამო, ვინაიდან იგი დაბადებული იყო 1977 წელს სამტრედიისში, სადაც რეგისტრირებული იყო კიდევ 2002 წლამდე და 1984—1994 წწ—ში სწავლობდა ამავე ქალაქის სკოლაში.

ადვოკატმა თეა ყაულაშვილმა სასამართლოში წარადგინა წერილობითი საპაექრო სიტყვა და შუამდგომლობები, ასევე — დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა. მიუხედავად იმისა, რომ ინგა გ.—ს, თავისი პოზიციის დასადასტურებლად, არცერთი მოწმე არ ჰყავდა, სასამართლომ სრულად გაიზიარა ადვოკატ თეა ყაულაშვილის პოზიცია ინგა გ.—ის და მისი არასრულწლოვანი შვილების სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

ადვოკატის პოზიცია ეყრდნობოდა შემდეგ არგუმენტებს: იმისათვის, რომ ამა თუ იმ ადამიანის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი დადგინდეს, აუცილებელი არ არის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის და რეგისტრაციის ადგილი ემთხვეოდეს ერთმანეს. ასევე, სადავო არ გამხდარა ინგა გ.—ის მამის — თეიმურაზ გ.—ის დევნილობის საკითხი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ინგა გ. აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყების დროს იყო არასრულწლოვანი და, სადაც არ უნდა ეცხოვრა და ესწავლა, მას, მხოლოდ მამის დევნილობის გამო, ეკუთვნოდა დევნილის სტატუსი. აღსანიშნავი იყო ისიც, რომ სამინისტრომ ვერც ინგა გ.—ის მიერ წარდგენილი დოკუმენტების და ინფორმაციის სიყალბე დაადასტურა. არადა, სწორედ ეს გახდა მოსარჩელეს დევნილის სტატუსი საფუძველი.

საბოლოოდ, სასამართლომ დააკმაყოფილა ინგა გ.—ისა და მისი არასრულწლოვანი შვილების სასარჩელო მოთხოვნა, კერძოდ, ბათილად სცნო დევნილთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებები და მოპასუხეს დაავალა, გამოეცა ახალი სამართლებრივი აქტები — ინგა გ.—ის და მისი არასრულწლოვანი შვილებისთვის დევნილის სტატუსის აღდგენის შესახებ.

უცხო ქვეყნის მოქალაქემ საქართველოში ლტოლვილის სტატუსი მიიღო

იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის, თეა ყაულაშვილის, დახმარებით, სიერა—ლეონეს რესპუბლიკის მოქალაქეს — მ.ბ.ჯ.—ს, რომელსაც ლტოლვილთა სამინისტრომ თავშესაფრის მინიჭებაზე ორჯერ უთხრა უარი, სასამართლომ ლტოლვილის სტატუსი მიანიჭა.

ეთნიკურად ფულა, აღმსარებლობით სუნიტი, მ.ბ.ჯ. 1997 წელს ქ. ფრითაუნში, სიერა—ლეონეს რესპუბლიკაში დაიბადა. მისი გადამოცემით, მამამისი — მ.ა.ჯ. იყო წევრი სიერა—ლეონეს სახალხო პარტიისა, რომელიც განსაკუთრებით 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის დროს გააქტიურდა. კამპანიაში მონაწილეობის გამო, მ.ბ.ჯ.—ის ოჯახის წევრთა დევნა დაიწყო. კერძოდ, მისი სახლი დაწვეს, რის შედეგადაც დაიღუპა დედა, ორი და და ბიძაშვილი. ხოლო მამა დააკავეს და ციხის საკანში მოკლეს. ამის შემდგომ, მამის მეგობარმა მ.ბ.ჯ.—ს არალეგალურად დაუმზადა პასპორტი, სადაც მისი ასაკი ერთი წლით გაზრდილი მიუთითა. სხვაგვარად მ.ბ.ჯ. ქვეყანას ვერ დატოვებდა, რადგან რეალურად არასრულწლოვანი იყო.

მ.ბ.ჯ.—სა და საქართველოს ხელისუფლებას შორის დავა 2013 წელს დაიწყო და 3 წელს გაგრძელდა. მ.ბ.ჯ.—მ ლტოლვილთა სამინისტროს პირველი უარი ჯერ თბილისის საქალაქო სასამართლოში, შემდეგ კი სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. ამ უკანასკნელმა საქმე ხელახალი განხილვისათვის კვლავ ლტოლვილთა სამინისტროს დაუბრუნა, თუმცა სამინისტრომ თავშესაფრის მინიჭებაზე კვლავ უარი განაცხადა.

ამის შემდეგ, მ.ბ.ჯ.—მ მიმართა სახელმწიფო იურიდიული დახმარების სამსახურს, რომელსაც 2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი უცხოელების დაცვა დაევალა. სასამართლოს მთავარ სხდომაზე, იურიდიული დახმარების სამსახურის საზოგადოებრივმა ადვოკატმა, თეა ყაულაშვილმა, ლტოლვილთა სამინისტროს პოზიციას, რომ მ.ბ.ჯ.—ს მონათხრობი სანდო არ იყო, დაუპირისპირა შემდეგი არგუმენტები: ოჯახის წევრების დაკარგვის გამო, მ.ბ.ჯ.—ს გადატანილი ჰქონდა უმძიმეს ტრავმა. ამასთან, მის მიმართ დევნის განხორციელების დროს, იგი იყო არასრულწლოვანი. გარდა ამისა, არ არსებობდა მყარი გარანტიები, რომ სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში, მ.ბ.ჯ.—ის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე არ დაემუქრებოდა.

საბოლოოდ, სასამართლომ გაიზიარა საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია, მოსარჩელის მოთხოვნა დააკმაყოფილა და მ.ბ.ჯ-ის ლტოლვილის სტატუსი მიანიჭა.

მოქალაქემ კუთვნილი ანაზღაურება მიიღო

იურიდიული დახმარების სამსახურის იმერეთის-ქუთაისის ბიუროს საზოგადოებრივი ადვოკატი სოფიო ყუბანეიშვილი სამართლებრივ დახმარებას უწევდა ზ. ბ.-ს. 2014 წლის 14 სექტემბერს, ერთ-ერთ შპს-სა და ზ. ბ.-ს შორის გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება, რომლის თანახმად ზ.ბ. დასაქმდა პრისელერის თანამდებობაზე. 2015 წლის 10 ივნისს კი დამსაქმებლის ინიციატივით, შრომითი ხელშეკრულება შეწყდა.

შპს-ს ზ. ბ.-სათვის არ აუნაზღაურებია 2015 წლის მაისის თვეში შესრულებული სამუშაოსთვის განსაზღვრული ხელფასი, რის შედეგადაც კომპანიას ზ. ბ.-ს მიმართ გააჩნდა სახელფასო დავალიანება, რომლის ოდენობა შეადგენდა 500 ლარსა და ბონუსს 150 ლარს. 2016 წლის 17 მარტს, ზ. ბ.-ს მოუმზადდა წერილობითი განცხადება შპს-ს დირექტორის მიმართ, სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით, თუმცა უშედეგოდ. შპს-მ წერილობით პასუხში განმარტა, რომ ზ. ბ.-ს მიმართ არანაირი ფულადი დავალიანება არ გააჩნდა. აღნიშნული უარის საფუძველად კომპანია მიუთითებდა, რომ 2015 წლის ივნისის თვეში ზ. ბ.-მ ჩაიდინა სისხლის სამართლებრივი დანაშაული, კერძოდ ფულადი თანხების მითვისება (სსკ-ის 182 მუხლის საფუძველზე). თუმცა საზოგადოებრივმა ადვოკატმა ჩავთვალა, რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ წარმოადგენდა ზ. ბ.-სათვის მის კუთვნილი ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველს, ვინაიდან მის მიერ დაკისრებული სამუშაო შესრულდა კეთილსინდისიერად, დროულად და ხარისხიანად.

ზ. ბ.-ს საზოგადოებრივი ადვოკატის სოფიო ყუბანეიშვილის დახმარებით მოუმზადდა დასაბუთებული სასარჩელო განცხადება, რომლითაც მან ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიმართა. კომპანიის მიერ წარმოდგენილ წერილობით შესაგებელში და პროცესზე კომპანიის წარმომადგენლის მიერ მიცემული ახსნა-განმარტებით კომპანია უარს აცხადებდა შრომითი ანაზღაურების გაცემაზე იმ მოტივით, რომ ზ. ბ.-მ ჩაიდინა დანაშაული.

"მათ აგრეთვე სასამართლოს შესთავაზეს ხელფასის გაცემის ახალი გრაფიკი, რომლითაც ცდილობდნენ დაერწმუნებინათ სასამართლო, რომ თითქოს 2015 წლის მაისის თვის შრომითი ანაზღაურება გაცემული ჰქონდათ. აღნიშნულის მიუხედავად, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე ციცილო კიკვაძე) სრულად გაიზიარა ჩვენს მიერ მომზადებული სასარჩელო განცხადების ფაქტობრივი, სამართლებრივი დასაბუთება და სრულად დააკმაყოფილდა ზ. ბ.-ს სასარჩელო განცხადება. კერძოდ: შპს-ს ზ. ბ.-ს სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების- 500 ლარისა და ბონუსის, 150 ლარის ანაზღაურება.

დევნილმა ქალმა ქონებრივი დავა მოიგო

იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის, თეა ყაულაშვილის, ძალისხმევით, აფხაზეთიდან დევნილმა ნინო ყ.-მ ყოფილ მეუღლესთან ქონებრივი დავა მოიგო.

დევნილმა ქალმა იურიდიული დახმარების სამსახურს მიმართა მას შემდეგ, რაც მისმა ყოფილმა მეუღლემ, ლაშა შ.-მ, განაცხადა პრეტენზია იმ ბინაზე, რომელიც ნინო ყ.-მ სახელმწიფოსგან როგორც იძულებით გადაადგილებულმა პირმა მიიღო. ლაშა შ.-ის მტკიცებით, ბინა შეძენილი იყო პრივატიზაციის ხელშეკრულებით, მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში; შესაბამისად, წარმოადგენდა თანასაკუთრებას და ყოფილ მეუღლეს შორის თანაბრად უნდა გაყოფილიყო.

საზოგადოებრივი ადვოკატი, თეა ყაულაშვილი არ დაეთანხმა ლაშა შ.-ის მიერ წარმოდგენილ სარჩელს. მიუხედავად იმისა, რომ სადავო ქონება ნინო ყ.-ს სახელზე მხარეთა ქორწინების პერიოდში გაფორმდა, ადვოკატის განმარტებით, პრივატიზაციის ხელშეკრულება თავისი შინაარსით წარმოადგენდა ჩუქების ხელშეკრულებას, ვინაიდან სახელმწიფომ ნინო ყ.-ს, როგორც დევნილს, უძრავი ქონება აჩუქა (სიმბოლურ ფასად – 1 ლარად გადასცა). ჩუქებით მიღებული ქონება კი მხოლოდ მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენდა, შესაბამისად, ლაშა შ.-ს სასარჩელო მოთხოვნა საფუძველს მოკლებული იყო.

შედეგად, თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულიად გაიზიარა ადვოკატ თეა ყაულაშვილის მოსაზრებები და არ დააკმაყოფილა მოსარჩელე ლაშა შ.-ს სასარჩელო მოთხოვნა.

აღსანიშნავია, რომ პრივატიზაციის ხელშეკრულების ამგვარი განმარტებით, სასამართლომ მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება, რაც ამ საქმის შედეგებს კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის.

დევნილთა ოჯახმა სასამართლოში დავა მოიგო

იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს საზოგადოებრივი ადვოკატის, აბელ გეგიას, დახმარებით, დევნილთა ოჯახმა მოიგო სასამართლო დავა, რომელიც საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საკითხს ეხებოდა.

აფხაზეთიდან დევნილმა მზიური ქ.-მ იურიდიული დახმარების სამსახურს მიმართა მას შემდეგ, რაც დევნილთა სამინისტროსგან მიიღო უარი მისი ხუთწევრიანი ოჯახის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების თაობაზე. უარის საფუძველი გახდა სამინისტროს პოზიცია, რომ, განაცხადის შევსებისას, მზიური ქ.-ის მხრიდან ადგილი

ჰქონდა ოჯახის ხელოვნურად გაერთიანების მცდელობას, რა შემთხვევაშიც ოჯახი საცხოვრებლად 65–დან 80 კვ. მეტრამდე ფართს მიიღებდა. სინამდვილეში კი მზიური ქ.–ის ოჯახის წევრები – ვაჟი, რძალი და ორი შვილიშვილი ცალკე მცხოვრებ ოჯახს წარმოადგენდნენ და მათი საკითხი განაცხადების ცალ–ცალკე შემოტანის შემთხვევაში განიხილებოდა.

თავის პოზიციას დევნილთა სამინისტრო ასაბუთებდა იმ გარემოებებით, რომ მზიური ქ.–ის რძალი დევნილთა მონაცემთა ბაზაში ცალკე ნომრით იყო რეგისტრირებული. ამასთან, ოჯახის საცხოვრებელი პირობების შესამოწმებლად მისულ სამინისტროს თანამშრომელს ადგილზე მხოლოდ ქალბატონი მზიური დახვდა.

საქმეში საზოგადოებრივი ადვოკატის, აბელ გეგიას, ჩართვის შემდეგ დადგინდა, რომ დევნილთა სამინისტრომ მზიური ქ.–ის განაცხადი საკითხის სათანადო შესწავლის გარეშე გადაწყვიტა. როგორც გაირკვა, მზიური ქ., ვაჟთან ერთად, ხობში, ყოფილი რაიკომის ავარიულ შენობაში, 11 კვ.მ. ოთახში 1999 წლიდან ცხოვრობდა. შენობას არ მიეწოდებოდა სასმელი წყალი და ელექტროენერჯია, რაც იქ ცხოვრებას კიდევ უფრო გაუსაძლის ხდიდა, განსაკუთრებით – მცირეწლოვანი ბავშვებისათვის, რომლებიც მზიური ქ.–ის ვაჟის ქორწინების შემდეგ გაჩნდნენ. ამ პირობებში, მშობლები, ბავშვებთან ერთად, იძულებულნი იყვნენ, ნათესავებთან ეცხოვრა.

ადვოკატ აბელ გეგიას მტკიცებით, სამინისტრომ საკმარისი არ იღონა ოჯახის საცხოვრებელი მდგომარეობის შესასწავლად. მზიური ქ.–ის არ მიეცა შესაძლებლობა, სამინისტროსთვის წარედგინა თავისი მტკიცებულებები. ხოლო ის ფაქტი, რომ მონიტორინგზე მისულ სამინისტროს თანამშრომელს ოჯახი სრული შემადგენლობით არ დახვდა, არ იძლეოდა იმის საფუძველს, რომ მზიური ქ.–ის ვაჟის ოჯახი მართლაც ცალკე ოჯახად ჩათვლილიყო.

საბოლოოდ, სასამართლომ გაიზიარა საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია: ბათილად იქნა ცნობილი დევნილთა სამინისტროს ის გადაწყვეტილებები, რომლითაც მზიური ქ.–ის განაცხადი არ დაკმაყოფილდა. სამინისტროს მზიური ქ.–ის ოჯახის საკითხის შესწავლა და საცხოვრებელი ფართის თაობაზე ახალი სამართლებრივი აქტის მიღება დაევალა.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირმა სასამართლოში დავა მოიგო

იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს დახმარებისთვის მიმართა მოქალაქე იამზე ა.–მ, რომელსაც სურდა სასარჩელო განცხადების მომზადება მოპასუხე სს „საქართველოს რკინიგზის“ წინააღმდეგ.

1994 წლის 1 ოქტომბერს, სამტრედიიდან თბილისისკენ მომავალი იამზე ა. ჩავარდა ბათუმი–თბილისის მიმართულებით მოძრავი მატარებლის შემადგენლობის ქვეშ. მიღებული ტრავმის შედეგად, იამზე ა.–ს გაუკეთდა მარჯვენა ფეხის ამპუტაცია. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 1997 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით,

იამზე ა.—ს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და სს „საქართველოს რკინიგზას“ დაზარალებულის სასარგებლოდ, სარჩოს სახით, ყოველთვიურად 24.5 ლარის გადახდა დაეკისრა. თუმცა, წლების განმავლობაში, ჯანმრთელობის დაზიანებას მოჰყვა პროთეზის ცვლათა, განვითარდა სიმსივნური უჯრედები, რის გამოც საჭირო გახდა კიდურის რეამპუტაცია და დამატებითი მკურნალობა. იამზე ა. იძულებული გახდა გაეღო ხარჯი, რისი ანაზღაურებაც, სინამდვილეში, სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ უნდა მომხდარიყო.

იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს კონსულტანტმა, ლევან ცალუღელაშვილმა, შეისწავლა საქმე და სარჩელი მოამზადა. სარჩელში აღნიშნული იყო, რომ იამზე ა.—ს ესაჭიროებოდა მარჯვენა კიდურის პროთეზი, რომლის ღირებულება 4500 ლარს შეადგენდა. გარდა ამისა, 1997 წლიდან დღემდე, სს „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ დაკისრებული სარჩოს ოდენობამ, მიმდინარე ინფლაციის გათვალისწინებით, დაკარგა მსყიდველუნარიანობა. ამიტომ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მოხდა გადასახდელი თანხის დაანგარიშება სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების მიზნით და სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს წარედგინა.

შედეგად, იამზე ა.—ს სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა. მოპასუხეს — სს „საქართველოს რკინიგზას“ მოსარჩელის სასარგებლოდ პროთეზის ღირებულების – 4500 ლარის, მკურნალობისთვის გაღებული ხარჯის – 848.25 ლარის, ყოველთვიური სარჩოს სახით 70.54 ლარის (ნაცვლად 24.5 ლარისა), ასევე, დავალიანების სახით, 1494.14 ლარის ოდენობის გაზრდილი სარჩოს გადახდა დაეკისრა.

მიწისძვრით დაზარალებულმა მოქალაქემ კომპენსაცია მიიღო

იურიდიული დახმარების სამსახურის საჩხერის საკონსულტაციო ცენტრის იურისტის, ინგა ნოზაძის, დახმარებით, მიწისძვრით დაზარალებულმა მოქალაქემ მალხაზ ღ.—მ სახელმწიფოსგან კომპენსაციის მიღება შეძლო.

ჭიათურის რაიონში მცხოვრებ მალხაზ ღ.—ის შვილს, რომელიც 2007 წელს სასამართლოს გადაწყვეტილებით გარდაცვლილად გამოცხადდა, სახლი 1991 წლის მიწისძვრის შედეგად დაენგრა. ამ ხნის მანძილზე, ოჯახს სახელმწიფოსგან კომპენსაცია არ მიუღია. როგორც თავისი შვილის მემკვიდრემ, მალხაზ ღ.—მ არაერთხელ მიმართა გამგეობას კომპენსაციის მოთხოვნით, თუმცა, უშედეგოდ. ჯერ სამკვიდროსთან დაკავშირებული დოკუმენტების მოუწესრიგებლობა მოიმიზეზეს, შემდგომ კი — ბიუჯეტში შესაბამისი სახსრების არარსებობა.

ასეთ ვითარებაში, მალხაზ ღ.—მ იურიდიული დახმარების სამსახურის საჩხერის საკონსულტაციო ცენტრს მიმართა. კონსულტანტმა ინგა ნოზაძემ ყურადღებით შეისწავლა საქმის დეტალები და შეადგინა სარჩელი, რომლითაც მალხაზ ღ.—მ სასამართლოს მიმართა. მოსარჩელემ ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობისგან

2600 აშშ დოლარის ოდენობის კომპენსაცია მოითხოვა.

შედეგად, პირველი ინსტანციის სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა და ჭიათურის გამგეობას, მოსარჩელის სასარგებლოდ, 3500 ლარის გადახდა დააკისრა.

კონსულტანტი ინგა ნოზაძე განაგრძობს მალხაზ ღ.—სთვის იურიდიული დახმარების გაწევას, რათა, სააპელაციო საჩივრის მეშვეობით, მოქალაქემ შეძლოს გაზრდილი ოდენობის საკომპენსაციო თანხის მიღება.

ფსიქიატრიულ დაწესებულებაში უკანონოდ მოთავსებული ქალი სტაციონარიდან გათავისუფლდა

იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის, თეა ყაულაშვილის, დახმარებით, მოქალაქე მ.ბ., რომელიც ერთი თვის მანძილზე უკანონოდ ჰყავდათ მოთავსებული ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სტაციონარიდან გათავისუფლდა.

მ.ბ. ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მეზობლებთან წარმოქმნილი კონფლიქტის შედეგად აღმოჩნდა. ბინისა და ავტოფარების ფართზე მეზობლებს შორის დაწყებული დავა იმდენად გამწვავდა, რომ მ.ბ.—მ, თავის დაცვის მიზნით, საპატრულო პოლიცია გამოიძახა. თუმცა, თავის მიერვე გამოძახებულმა პოლიციელებმა იგი ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გადაიყვანეს. თბილისის საქალაქო სასამართლოს ბრძანებით კი, მ.ბ., არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობის მიზნით, სტაციონარში მოთავსდა.

საზოგადოებრივი ადვოკატი, თეა ყაულაშვილი, თავიდანვე არ ეთანხმებოდა მ.ბ.—ის იძულებით მოთავსებას ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, ამიტომ მან საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრა.

საჩივარში, ადვოკატი აღნიშნავდა, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეესაბამებოდა არც საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და არც „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონის მიზნებს. თეა ყაულაშვილის თქმით, მ.ბ.—ს სტაციონარში იძულებითი მოთავსება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა დასაშვები, თუკი პაციენტს არ ექნებოდა გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი; თუ დახმარების დაყოვნება საფრთხეს შეუქმნიდა პაციენტის ან სხვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას; ან პაციენტს საკუთარი მოქმედებით შეიძლება მიეღო ან სხვისთვის მიეყენებინა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. მოცემულ შემთხვევაში კი, მ.ბ.—ის სტაციონარში მოსათავსებლად, არცერთი პირობა არ არსებობდა. გარდა ამისა, საქმის განხილვაში მონაწილე მ.ბ.—ის ძმა განმარტავდა, რომ თავის დასა და მის მეზობლებს შორის კონფლიქტი დიდი ხნის მანძილზე გრძელდებოდა, და არ გამორიცხავდა, რომ მ.ბ.—ის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსება მეზობლების შურისძიების სურვილით იყო მოტივირებული. საგულისხმოა, რომ პაციენტი გამოთქვამდა მზადყოფნას, საჭიროების შემთხვევაში სახლის პირობებში ემკურნალა, რაც მისთვის

დასმულ დიაგნოზსაც შეესაბამებოდა.

საბოლოოდ, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ადვოკატ თეა ყაულაშვილის პოზიცია და ფსიქიატრიულ დაწესებულებას მ.ხ.—ის სტაციონარიდან დაუყოვნებლივ გაწერა დაავალა. მ.ხ.—ს ასევე განემართა, რომ სტაციონარში იძულებითი მკურნალობის გამო, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს.

სოციალურად დაუცველმა პენსიონერმა სასამართლოში დავა მოიგო

მარტოხელა, სოციალურად დაუცველმა პენსიონერმა ლუბა ტ.—მ, რომელმაც სახელმწიფო იურიდიული დახმარების სამსახურის უფასო მომსახურებით ისარგებლა, სასამართლოში დავა მოიგო.

ლუბა ტ.—ს სურდა სასარჩელო განცხადების მომზადება შენგელი მ.—ის წინააღმდეგ, რომელიც წლების განმავლობაში უარს ამბობდა პენსიონერისთვის ვალის დაბრუნებაზე. ლუბა ტ.—ის განმარტებით, 2012 წელს შენგელი მ.—მ მას სააგარაკე მიწის ნაკვეთის გაყიდვაში დახმარება შესთავაზა, ნაკვეთის გასხვისების შემდეგ კი კუთვნილი 7 ათასი დოლარიდან მხოლოდ 100 დოლარი გადასცა, თანხის დარჩენილი ნაწილის მიცემას კი რამდენიმე დღეში დაპირდა, თუმცა დაპირება არ შეასრულა.

2013 წელს, შენგელი მ.—მ პოლიციაში აღიარა ლუბა ტ.—ის მიმართ ვალის არსებობა და წერილობით აიღო ვალდებულება, რომ პირველ ეტაპზე — 1000 დოლარს, ორი თვის შემდეგ კი 6000 დოლარს გადაიხდიდა. თუმცა აღნიშნული პირობაც დაარღვია.

იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს კონსულტანტმა, ლევან ცალუღელაშვილმა, შეისწავლა ლუბა ტ.—ის საქმე და, სასამართლოში წარსადგენად, სარჩელი შედგინა. შედეგად, აღნიშნული სარჩელი დაკმაყოფილდა და შენგელი მ.—ს ლუბა ტ.—ს სასარგებლოდ, ფულადი ვალდებულების სახით, 6900 დოლარის და 444 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა დაეკისრა.

სოციალურად დაუცველმა მოქალაქემ შემოსავლების სამსახურს დავა მოუგო

სოციალურად დაუცველმა მოქალაქემ ზ.ო.—მ, რომელმაც სახელმწიფო იურიდიული დახმარების სამსახურის უფასო მომსახურებით ისარგებლა, შემოსავლების სამსახურს სასამართლოში დავა მოუგო.

ზ.ო., მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო, ოჯახის რჩენის მიზნით, იძულებული გახდა სახლის წინ გაეყიდა ოჯახის წევრების ნახმარი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. მონიტორინგის დროს, შემოსავლების სამსახურის თანამშრომელმა განახორციელა

საკონტროლო შესყიდვა და, ყოველგვარი განმარტების გარეშე, ზ.ო. დააჯარიმა 500 ლარით. დაჯარიმების საფუძვლად კი ზ.ო.—ს მიერ გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის წესის დარღვევა მიუთითა.

ზ.ო.—მ მაშინვე გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, თუმცა საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ასეთ ვითარებაში, ვინაიდან არ ჰქონდა ადვოკატის დაქირავების საშუალება, მან მიმართა სახელმწიფო იურიდიული დახმარების სამსახურს.

იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთა—მთიანეთის ბიუროს კონსულტანტმა, ირინე ბარბაქაძემ, ზ.ო.—ს როგორც ზეპირი კონსულტაცია, ისე იურიდიული დახმარებაც გაუწია. კერძოდ, შეუდგინა სარჩელი, რომლითაც სასამართლოსგან შემოსავლების სამსახურის მიერ ზ.ო.—სთვის დაკისრებული სახდელების გაუქმება მოითხოვა.

შედეგად, სასამართლომ სარჩელი სრულად დააკმაყოფილა და ზ.ო. ყოველგვარი სახდელებისგან, მათ შორის, 500 ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდისგანაც გათავისუფლდა.

იურიდიული დახმარების სამსახურის რეფორმა

სამსახურის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა



იურიდიული დახმარების სამსახურის დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით 2014 წელს შექმნილმა კოლეგიურმა ორგანომ – იურიდიული დახმარების საბჭომ აქტიურად განაგრძო თავისი უფლებამოსილებების განხორციელება. 2016 წელს საბჭომ, სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, 17 გადაწყვეტილება მიიღო. მათ შორის, ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სისტემასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება. კერძოდ, საბჭომ 2016 წლის 2 მარტის №39 გადაწყვეტილებით, პილოტურ რეჟიმში აამოქმედა „სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესი და კრიტერიუმები“.

2016 წელს, გაგრძელდა მუშაობა იურიდიული დახმარების საბჭოს რეფორმირებაზე, რაც USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით მიმდინარეობს. რეფორმის მიზანია – საბჭოს საქმიანობა გახდეს უფრო დინამიკური და განვითარებაზე ორიენტირებული.

საბჭოს რეფორმირების ფარგლებში, 2015 წელს მოწვეულ იქნა ბრიტანელი ექსპერტი, ავრომ შერი, რომელმაც კომპლექსური კვლევა ჩაატარა: შეისწავლა საბჭოს წევთა მოსაზრებები, ასევე – სამეთვალყურეო საბჭოების მოწინავე მოდელები. ავრომ შერმა საბჭოს წევრებს წარუდგინა რეკომენდაციები, რომელთა მიზანია, ხელი შეუწყოს იურიდიული დახმარების საბჭოს იმგვარად რეფორმირებას, რომ, ერთი მხრივ, ამ კოლეგიური ორგანოს საქმიანობა განიტვირთოს საზედამხებდველო ფუნქციებისგან,

მეორე მხრივ კი – საბჭოს როლი გაძლიერდეს ინოვაციების დანერგვის, იურიდიული დახმარების სამსახურის მხარდაჭერისა და განვითარების მიმართულებით.

2016 წლის ნოემბერში, USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით თბილისში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე, საბჭოს წევრებმა ავრომ შერთან განიხილეს „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი. პროექტის მიხედვით, დაგეგმილია საბჭოს წევრობის ვადის შემცირება 4–დან 3 წლამდე, ადვოკატთა ასოციაციის კვოტით წარმოდგენილი წევრებისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების ამაღლება, ასევე ყოველწლიურად, სახალხო დაცველის და ადვოკატთა ასოციაციის კვოტების 1/3–ით განახლება.

იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაზრდა

2016 წელს, გაგრძელდა იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოება. კერძოდ:

- 2016 წლის 1 იანვრიდან, ძალაში შევიდა „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, რომლის მიხედვითაც იურიდიული დახმარების სამსახურს დაევალა არა მხოლოდ არასრულწლოვანი ბრალდებულების დაცვა, არამედ 18–21 წლამდე ბრალდებულების სავალდებულო დაცვა, ასევე არასრულწლოვანი დაზარალებულის და არასრულწლოვანი მოწმის დაცვა (თუ მოწმე გადახდისუნარია).
- 2016 წლის 1 იანვრიდან, სამსახურის მანდატი გავრცელდა ადმინისტრაციულ ორგანოებში წარმომადგენლობაზე. ამ მიმართულებით, სამსახურის მანდატი დაზუსტდა და იგი, „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონში 2016 წლის 27 მაისს განხორციელებული ცვლილებებით, შესაბამისობაში მოვიდა აღნიშნული კანონის 23¹ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ საქმეთა კატეგორიებთან.
- 2016 წლის 1 იანვრიდან, ასევე ამოქმედდა „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილება, რომლის მიხედვითაც თავშესაფრის მაძიებლებს უფლება მიეცათ, ისარგებლონ სასამართლოში წარმომადგენლობის სერვისით, თუკი სასამართლო მათ მიმართ განიხილავს თავშესაფრის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების საკითხს.

ადამიანური რესურსები

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოების ფარგლებში, 2016 წელს სამსახურმა

განახორციელა სამოქალაქო სპეციალიზაციის 18 ადვოკატის რეკრუტირება. თბილისის ბიუროში მიღებულ იქნა 5 ახალი ადვოკატი, ქვემო ქართლისა და იმერეთის—ქუთაისის ბიუროებში – ორ—ორი ახალი ადვოკატი, დანარჩენ 9 ბიუროში კი სამოქალაქო სპეციალიზაციის თითო ადვოკატი დასაქმდა.

ტერიტორიული დაფარვა



- 2016 წლის მაისში, ქვეყნის მასშტაბით რიგით მე-12 იურიდიული დახმარების ბიურო ამოქმედდა ქალაქ სიღნაღში. კახეთის—სიღნაღის იურიდიული დახმარების ბიურო ემსახურება საგარეჯოს, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებს. (კახეთის თელავის ბიურო, რომელიც 2007 წლიდან ფუნქციონირებს, აგრძელებს უფასო იურიდიული დახმარების გაწევას კახეთის რეგიონის დანარჩენ მუნიციპალიტეტებში – ქ. თელავი, ასევე თელავის, ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტები).
- 2016 წლის მე-4 კვარტლიდან, დაიწყო სარემონტო—სარეკონსტრუქციო სამუშაოები ცენტრალური აპარატის, ასევე ბათუმისა და ფოთის ბიუროების ახალ ოფისებში. ცენტრალური აპარატისთვის განკუთვნილ ოფისში სარემონტო სამუშაოებს აფინანსებს და ევროკავშირის და გაეროს ერთობლივი პროგრამა. ბათუმისა და ფოთის ბიუროების ახალი ოფისები კი იურიდიული დახმარების სამსახურის სახსრებით რემონტდება.

ცენტრალური ოფისის რემონტი (დაფინანსებულია ევროკავშირისა და გაეროს ერთობლივი პროგრამის მიერ)

რემონტამდე

რემონტის შემდეგ



- იურიდიული დახმარების სამსახური განაგრძობს თანამშრომლობას სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან. ქვეყნის მასშტაბით შერჩეულია 6 საზოგადოებრივი ცენტრი, რომელშიც გარკვეული რეგულარობით იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტები ჩადიან და ადგილობრივ მოსახლეობას იურიდიულ კონსულტაციებს უწევენ. დღეისათვის იურიდიული კონსულტაციის სერვისი მოქმედებს მეჯვრისხევის, შორაპნის, გეგუთის, სართიჭალის, ფოკისა და ჯვრის საზოგადოებრივ ცენტრებში.

სარემონტო სამუშაოები აჭარის ბიუროს ახალ ოფისში



რეფერალური სისტემის განვითარება

- 2016 წლის აპრილში, იურიდიული დახმარების სამსახურმა და კონსორციუმმა „სამართლებრივი დახმარება საქართველომ“ (LAG) თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს. ორი ორგანიზაცია აპირებს კოორდინირებულ მუშაობას იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვის სფეროში. თანამშრომლობა ითვალისწინებს დევნილთა შესახებ ინფორმაციის გაცვლას, ბენეფიციარების ერთმანეთთან გადამისამართებას (რეფერირებას), აგრეთვე – ორი ორგანიზაციის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას.
- 2016 წლის დეკემბერში, ევროკავშირისა და გაეროს ერთობლივი პროგრამის მხარდაჭერით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა იურიდიული დახმარების სამსახურის და უფასო იურიდიული დახმარების განმახორციელებელი 18 ორგანიზაციის მონაწილეობით. ღონისძიების მონაწილეები გაეცნენ ეფექტური გადამისამართების პრინციპებს, ერთმანეთს გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება, კონტაქტები და დასახეს თანამშრომლობის გზები.

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფა

- იურიდიული დახმარების ეფექტური უზრუნველყოფის მიზნით, 2016 წელს მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში დამატებით ჩაირიცხა 18 ადვოკატი. დღეისათვის მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულია 77 კერძო ადვოკატი. 2016 წლის ივნისში, ჩატარდა მათი ტრენინგ-საჭიროებათა კვლევა, რომლის მიხედვითაც 2016–2017 წლებში შესაბამისი ტრენინგ-სემინარები ჩატარდება.

მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა

იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა

იურიდიული დახმარების სამსახური განაგრძობს მუშაობას იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სისტემის დახვეწაზე. ამ მიზნით, 2015 წლის ნოემბერში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი იურიდიული დახმარების საბჭოს წევრთა, სამსახურის ადმინისტრაციისა და იურიდიული დახმარების ბიუროებში მომუშავე ადვოკატების შემადგენლობით. ჯგუფის რეკომენდაციების გათვალისწინებით, იურიდიული დახმარების საბჭომ 2016 წლის 2 მარტის №39 გადაწყვეტილებით, პილოტურ რეჟიმში აამოქმედა „სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესი და კრიტერიუმები“. გაწეული მომსახურების შეფასების მიზანია: შესრულებული სამუშაოს ეფექტიანობის, დროულობისა და ხარისხის განსაზღვრა და, მოპოვებული მონაცემების საფუძველზე, ისეთი გადაწყვეტილების მიღება, როგორცაა: ადვოკატის პროფესიული განვითარება, თანამდებობრივი გადაადგილება (რანგირება), წახალისება და სხვა.

შეფასების სისტემის დანერგვის მიზნით, USAID/PROLoG-ის ორგანიზებით, იურიდიული დახმარების სამსახურის დელეგაცია 2016 წლის ივნისში სასწავლო ვიზიტით დიდ ბრიტანეთში იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში, იურიდიული დახმარების საბჭოს, სამსახურის ადმინისტრაციისა და იურიდიული დახმარების ბიუროებში მომუშავე ადვოკატები გაეცნენ იმას, თუ როგორ ხორციელდება სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე გაწეული იურიდიული დახმარების ხარისხის მონიტორინგი შოტლანდიასა და ინგლისში. საქართველოში დანერგილი შეფასების სისტემა დიდწილად ეყრდნობა სწორედ ხარისხის შეფასების შოტლანდიურ მოდელს, რომელიც ე.წ. Peer review-ს მეთოდოლოგიით მუშაობს, კერძოდ, საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობის შეფასებას მათივე კოლეგა იურისტები ახორციელებენ.



USAID/PROLoG–ის ხელშეწყობით, შეფასების სისტემასთან დაკავშირებული შეხვედრები შემდგომ თვეებშიც გაგრძელდა. ბრიტანული გამოცდილების გაზიარების მიზნით, 2016 წლის ივლისში, სასწავლო ვიზიტის მონაწილეებმა გამართეს სამუშაო შეხვედრები იურიდიული დახმარების ბიუროებში მომუშავე ადვოკატებთან. 2016 წლის აგვისტოში, კი სამუშაო შეხვედრა გაიმართა იურიდიული დახმარების საბჭოს და სამსახურის ადმინისტრაციის მონაწილეობით.

2016 წლის ნოემბერში, საზოგადოებრივი ადვოკატების შეფასების სისტემა იურიდიული დახმარების საბჭოს და ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის შეხვედრაზე განიხილეს.

2016 წლის ნოემბერში, USAID/PROLoG–ის ხელშეწყობით, იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის და ანალიზის სამმართველოს იურისტებისა და იურიდიული დახმარების ბიუროებში მომუშავე ადვოკატებისათვის, ბრიტანელმა ექსპერტებმა – ალან პატერსონმა და ავრომ შერმა ჩაატარეს პრაქტიკული ტრენინგი სისხლის სამართლის საქმეთა შეფასების მეთოდოლოგიაზე.

იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის და ანალიზის სამმართველოს იურისტები, 2016 წლის ოქტომბრიდან, შეუდგნენ საზოგადოებრივი ადვოკატების მიერ 2016 წლის მარტიდან–სექტემბრის ჩათვლით პერიოდში დასრულებული სისხლის სამართლის საქმეების შეფასებას.

აღსანიშნავია, რომ იურიდიული დახმარების სამსახური მუშაობს ხარისხის შეფასების დანერგვაზე არა მხოლოდ სისხლის სამართლის სფეროში, არამედ სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროებში. 2016 წლის ნოემბერში, ევროკავშირისა და გაეროს ერთობლივი პროგრამის „ხელმისაწვდომი მართლმსაჯულება და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება საქართველოში“ ხელშეწყობით, ბრიტანელმა ექსპერტებმა – ალან პატერსონმა და ავრომ შერმა

იურიდიული დახმარების სამსახურის ადმინისტრაციისა და რეგიონული ბიუროების წარმომადგენლებისთვის გამართეს სემინარი სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე გაწეული საადვოკატო მომსახურების ხარისხის შეფასების შესახებ.

იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების არასრულწლოვანთა საქმეებზე სპეციალიზაცია

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის და „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურში ფუნქციონირებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატების მუდმივმოქმედი ჯგუფი, რომელშიც შედიან როგორც იურიდიული დახმარების ბიუროებში მომუშავე, ისე მოწვეულ საზოგადოებრივ რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატები.

2016 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ UNICEF-ისა და ევროკავშირის მიერ ორგანიზებულ მულტიდისციპლინარულ შეხვედრებში, სადაც, მართლმთლმსაჯულების სექტორის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, განიხილავდნენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის აღსრულების პროცესში წარმოქმნილ ხარვეზებსა და პრობლემებს, და მსჯელობდნენ უწყებებს შორის ერთიანი ხედვის ჩამოყალიბების თაობაზე.

მენეჯმენტის სისტემის გამართვა, იურიდიული კლინიკებისა და სტაჟირების სისტემების გამართვა

- 2016 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურმა, ევროკავშირისა და გაეროს ერთობლივი პროგრამის ხელშეწყობით, განაგრძო მუშაობა სტრუქტურის რეორგანიზაციის საკითხებზე. წლის განმავლობაში, ჩატარდა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა, რომელზეც კომპანია „სინერჯი ჯგუფის“ მიერ შემუშავებული ორგანიზაციული სტრუქტურის მოდელი და სამსახურის ახალი დებულების პროექტი განიხილეს. ახალი სტრუქტურა ითვალისწინებს იურიდიული დახმარების სამსახურის ცენტრალური აპარატის მოწყობას მენეჯმენტის სამი მიმართულებით: 1) ადმინისტრაციული და ფინანსური მხარდაჭერა, 2) იურიდიული დახმარების ხარისხის მონიტორინგი და 3) სამსახურის განვითარება. ახალი სტრუქტურის ამოქმედება 2017 წლიდან, ეტაპობრივად, მოხდება.



- 2016 წელს გაგრძელდა იურიდიული კლინიკის პროექტი. წლის პირველ ნახევარში, თბილისის, გორის, ქუთაისისა და ბათუმის ბიუროების ბაზაზე მოქმედ იურიდიულ კლინიკებში სტაჟირება გაიარა 30-მდე სტუდენტმა. წლის მეორე ნახევარში, სამსახურმა მიიღო 27 ახალი სტაჟიორი, რომლებიც თბილისის, გორის, ახალციხის, ქუთაისისა და ბათუმის ბიუროებში განაწილდა. იურიდიული კლინიკის პროგრამის ფარგლებში, იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, გაიღრმავონ თეორიული ცოდნა და შეიძინონ სისხლის სამართლის საქმეებზე მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები. იურიდიული კლინიკის პროექტი 2008 წლიდან ხორციელდება.
- 2016 წელს, ევროკავშირისა და გაეროს ერთობლივი პროგრამის მხარდაჭერით, განახლდა "იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემა – Case Bank“, რომელსაც სამოქალაქო-ადმინისტრაციული საქმეების აღრიცხვისა და მართვის მოდული დაემატა. 2016 წლის სექტემბერში, განახლებულ პროგრამაში სამუშაოდ, იურიდიული დახმარების ბიუროებში მომუშავე ადვოკატებისათვის პრაქტიკული ტრენინგები ჩატარდა.
- 2016 წელს, სამსახურმა, საზოგადოებრივი ადვოკატების საჭიროებების გათვალისწინებით, განახორციელა იურიდიული დახმარების ბიუროების ბიბლიოთეკების განახლება, რისთვისაც შეძენილ იქნა 10 სახეობის პროფესიული სახელმძღვანელო.

თანამშრომელთა მუდმივი პროფესიული გადამზადება

- 2016 წლის პირველ ნახევარში, UNHCR–ის და UNAG–ის მხარდაჭერით, საზოგადოებრივი ადვოკატებისთვის გაიმართა ტრენინგები ლტოლვილთა დაცვის სამართალში.
- 2016 წლის პირველ ნახევარში, სამოქალაქო სპეციალიზაციის ადვოკატების ჯგუფმა (7 ადვოკატის შემადგენლობით) გაიარა „საქპატენტის“ ორთვიანი სასწავლო კურსი საქპატენტო სამართალში.



- 2016 წლის მარტ–აპრილში, UNDP–ის და ევროკავშირის მხარდაჭერით, სამსახურის მენეჯმენტისა და ადვოკატებისთვის ჩატარდა ტრენინგები ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე.
- 2016 წლის ივლისიდან, დაიწყო ორწლიანი სასწავლო პროგრამა, რომელიც განკუთვნილია უფასო იურიდიული დახმარების მიწოდებაში ჩართული ადვოკატებისთვის. სასწავლო პროგრამა მოიცავს 40–მდე სხვადასხვა თემაზე დაგეგმილ 150–ზე მეტ ტრენინგს, რომელიც, 2016–2017 წლებში, ევროკავშირისა და გაეროს ერთობლივი პროგრამის მხარდაჭერით განხორციელდება. სწავლების თემატიკა განისაზღვრა გამოკითხვით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს იურიდიული დახმარების ბიუროებში მომუშავე და მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულმა ადვოკატებმა. 2016 წლის ივლისი–დეკემბრის პერიოდში, სწავლება ჩატარდა შემდეგ საკითხებზე: მტკიცებულებების მოპოვება დაცვის მხარის მიერ; წინასასამართლო სხდომა, მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში; სამემკვიდრეო სამართალი;

საოჯახო სამართალი; საგადასახადო სამართალი; სამოქალაქო საქმეთა წარმოება. აღნიშნულ თემებზე, ჯამში, 40 ტრენინგი ჩატარდა.

- განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებმა გაიარეს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული ტრენინგები (მათ შორის, დისტანციური სასწავლო პლატფორმის მეშვეობით). ტრენინგებს შორის, აღსანიშნავია შემდეგი თემები:
 - მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში (დაესწრო 40-ზე მეტი ადვოკატი),
 - აღკვეთის ღონისძიებები სისხლის სამართლის პროცესში (დაესწრო 30-ზე მეტი ადვოკატი),
 - ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები (დაესწრო 20-ზე მეტი ადვოკატი),
 - საქმის არსებითი გახილვა (დაესწრო 20-ზე მეტი ადვოკატი)
 - ადვოკატთა პროფესიული ეთიკა (დაესწრო 60-ზე მეტი ადვოკატი)

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება იურიდიული დახმარების სისტემის შესახებ

- სოციალური რეკლამის სტატუსით, ცენტრალურ და რეგიონულ ტელევიზიებში 1-კვირიდან 2-თვემდე ვადით განთავსდა სარეკლამო ვიდეო-რგოლი იურიდიული დახმარების სერვისის შესახებ; ასევე რეკლამა განთავსდა სოციალურ ქსელში – facebook-ში.
- 2016 წელს იურიდიული დახმარების ბიუროებმა განაგრძეს გასვლითი კონსულტაციებისა და საინფორმაციო შეხვედრების განხორციელება. სულ განხორციელდა 195 სხვადასხვა აქტივობა, მათ შორის: 32 სემინარი საქართველოს სხვადასხვა საჯარო სკოლაში; 40 შეხვედრა სხვადასხვა დასახლებული პუნქტის მოსახლეობასთან; 36 ვიზიტი დევნილთა კომპაქტურ დასახლებაში. თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებთან გაიმართა 33 შეხვედრა, სოციალური მომსახურების სააგენტოს რეგიონულ განყოფილებებში – 26 შეხვედრა. 10 შეხვედრა გაიმართა ოჯახში ძალადობის საკითხებზე (მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ახალციხის, ახალქალაქის, გარდაბნისა და ახმეტის მუნიციპალიტეტებში). დამატებით, გაიმართა სხვადასხვა შინაარსის (მათ შორის, საქველმოქმედო) 15 ღონისძიება.
- იურიდიული დახმარების სამსახური ინარჩუნებს გამჭვირვალობის მაღალ სტანდარტებს. 2016 წელს, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI), უკვე მეოთხედ დააჯილდოვა იურიდიული დახმარების სამსახური საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის.

საინფორმაციო შეხვედრა წალკაში



სემინარი სიღნაღის სკოლაში



შეხვედრა გორის უნივერსიტეტში



შეხვედრა სამტრედიის საზოგადოებრივ ცენტრში



შეხვედრა დევნილებთან წყალტუბოში



- ევროკავშირისა და გაეროს ერთობლივი პროგრამის მეშვეობით, გამოიცა 8 სახით საინფორმაციო ბროშურა, როგორც ქართულ, ისე ეთნიკური უმცირესობების ენებზე. დამატებით, სამსახურმა გამოსცა ბროშურები 3 სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე.
- ევროკავშირისა და გაეროს ერთობლივი პროგრამის მხარდაჭერით, დაიწყო მუშაობა იურიდიული დახმარების სამსახურის ვებგვერდის განახლებაზე. ახალი ვებგვერდი ხელმისაწვდომი გახდება 2017 წელს და იგი ადაპტირებული იქნება უსინათლო და სუსტი მხედველობის მქონე პირებისათვის.

გამოწვევები

საშუალოვადიან პერსპექტივაში, იურიდიული დახმარების სამსახურის პრიორიტეტები უცვლელია. ეს პრიორიტეტებია: სამსახურის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა; იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდა; მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა და სამსახურის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.



აღნიშნული პრიორიტეტებიდან გამომდინარე, 2017–2018 წლებში, სამსახურის წინაშე არაერთი გამოწვევა იქნება, რაც მოითხოვს სამსახურის, იურიდიული დახმარების საბჭოს, საქართველოს პარლამენტის, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების კოორდინირებულ ძალისხმევას.

- სამსახურისთვის მნიშვნელოვანია, რომ გაგრძელდეს უფასო იურიდიული დახმარების ფარგლების გაფართოება სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროებში. ახლოვდება კანონით დადგენილი „იურიდიული დახმარების უზრუნველყოფის დროებითი წესების“ მოქმედების ვადა, რაც დღის წესრიგში აყენებს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროებში იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის ახლებურად გააზრების საჭიროებას. 2017 წელს, სამსახური, USAID-ის პროექტის PROLoG-ის მხარდაჭერით, განახორციელებს კვლევას, რის შედეგადაც განისაზღვრება ის სამართლებრივი საკითხები, რომლებზეც შესაძლებელი იქნება სამსახურის მანდატის გაფართოება. ვფიქრობთ, რომ კვლევის შედეგები დაეხმარება გადაწყვეტილების მიმღებ ინსტიტუტებს, სწორი სტრატეგია დასახონ და მოსახლეობის სამართლებრივ საჭიროებებს უპასუხონ იურიდიული დახმარების სამსახურის პოტენციალის ადეკვატური გაძლიერებით.
- გამოწვევად რჩება იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. ამ მხრივ, სამსახური, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, გეგმავს

დისტანციური სერვისების დანერგვას, ასევე ვებგვერდის ადაპტირებას სუსტი მხედველობის მქონე პირებისათვის. თუმცა, ყველაზე რთული, რასაკვირველია, საოფისე ინფრასტრუქტურის ადაპტირება წარმოადგენს. ამ მხრივ, სამსახური გვემავს ეტაპობრივად უზრუნველყოს იურიდიული დახმარების ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების ადაპტირება ეტლით მოსარგებლე პირებისათვის. 2017 წელს დასრულდება ევროკავშირისა და გაეროს ერთობლივი პროგრამის მხარდაჭერით დაწყებული საოფისე ინფრასტრუქტურის აუდიტი, რის შედეგადაც, სამსახურს ექნება ნათელი სურათი – არსებული ოფისებიდან რომელი ექვემდებარება ადაპტირებას. ადაპტირებისთვის გამოუსადეგარი ოფისები ეტაპობრივად უნდა ჩანაცვლდეს ახალი ინფრასტრუქტურით, რისთვისაც საჭირო იქნება თანამშრომლობა ქონების ეროვნულ სააგენტოსთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, ასევე საჭირო იქნება რესურსების მობილიზება ახალი ოფისების მშენებლობისთვის.

- სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის, ასევე ხარისხის შეფასების სისტემის სრულყოფილი ფუნქციონირებისა და სერვისების სისტემური განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია სამსახურის ცენტრალური აპარატის ორგანიზაციული სტრუქტურის რეფორმირება. რეფორმის შედეგად, ცენტრალურ აპარატში განჩნდება მენეჯმენტის სამი მიმართულება: 1) ადმინისტრაციული და ფინანსური მხარდაჭერა, 2) ხარისხის მონიტორინგი, 3) სერვისების, პრაქტიკისა და საკანონმდებლო ბაზის განვითარება. ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის ამოქმედების მიზნით, აუცილებელია, სწორად განისაზღვროს სამსახურის ბიუჯეტი და თანამშრომელთა საშტატო რიცხოვნობა. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი იქნება თანამშრომლობა და კონსულტაციები საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან.
- მანდატის გაფართოებისა და სამსახურის ცენტრალური აპარატის სტრუქტურული რეორგანიზაციის პარალელურად, მნიშვნელოვან ამოცანად რჩება სამსახურის საბიუჯეტო დაფინანსების ზრდა, როგორც ამას ითვალისწინებს მართლმსაჯულების სექტორის რეფორმის საბიუჯეტო დახმარების პროგრამის შესახებ საქართველო-ევროკავშირის ფინანსური შეთანხმება. აღნიშნული შეთანხმების მიხედვით, 2018 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურის სახელმწიფო დაფინანსება სულ მცირე 10%-ით უნდა გაიზარდოს 2016 წლის ბიუჯეტთან შედარებით.
- 2017–2018 წლებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ხარისხის შეფასების სისტემის სრულყოფილი ამოქმედება სისხლის სამართლის საქმეებზე, ასევე – ანალოგიური სისტემის კონცეფციის შემუშავება სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების მიმართულებით. სამსახური გააანალიზებს პილოტურ რეჟიმში განხორციელებული შეფასების შედეგებს და, აღნიშნული შედეგების, ასევე – საზოგადოებრივი ადვოკატებისგან მიღებული უკუკავშირისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, დანერგავს შეფასების სისტემის სრულყოფილ მოდელს სისხლის სამართლის საქმეებზე. გარდა ამისა, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, გაგრძელდება მსგავსი სისტემის შემუშავებაზე მუშაობა სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების მიმართულებით.

ფინანსური ანგარიში 2016



პარტნიორი ორგანიზაციები



იურიდიული დახმარების სამსახური (ცენტრალური ოფისი)
მის: თამარ მეფის გამზ. №14, თბილისი 0112, საქართველო
ტელ: +995(32)2920055
ელ-ფოსტა: info@legalaid.ge

თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო
ბიუროს უფროსი: სულხან კომახიძე
მის: თბილისი, თამარ მეფის გამზ. №14,
ტელ: +995(32)2954474; 2954475;
მობ: +995(595)364410
ელ-ფოსტა: skomakhidze@legalaid.ge

მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიურო
ბიუროს უფროსი: ალუდა ბუნუკური
მის: მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №51
ტელ: +995(32)2513873
მობ: +995(595)901705
ელ-ფოსტა: abuchukuri@legalaid.ge

კახეთის-თელავის იურიდიული დახმარების ბიურო
ბიუროს უფროსი: ლიანა ქუნიაშვილი
მის: თელავი, ვარდოშვილის ქ. №7
ტელ: +995(350)271538
მობ: +995(595)901707
ელ-ფოსტა: ltchuniashvili@legalaid.ge

კახეთის-სიღნაღის იურიდიული დახმარების ბიურო
ბიუროს უფროსი: თამაზ გურაშვილი
მის: სიღნაღი, აღმაშენებლის ქ. №7
ტელ: +995(355)231082
მობ: +995(599)937973
ელ-ფოსტა: tgurashvili@legalaid.ge

ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო
ბიუროს უფროსი: იოსებ ჯამასპიშვილი
მის: რუსთავი, ბათუმის ქ. №17,
ტელ: +995(341)241425
მობ: +995(595)901706
ელ-ფოსტა: ijamaspishvili@legalaid.ge

შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო
ბიუროს უფროსი: გიორგი ჯეირანაშვილი
მის: გორი, სამეფოს ქ. №54
ტელ: +995(370)279556
მობ: +995(595)901704
ელ-ფოსტა: gjeiranashvili@legalaid.ge

სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიურო
ბიუროს უფროსი: დავით ზარიძე
მის: ახალციხე, თაბუკაშვილის ქ. №17
ტელ: +995(265)220735
მობ: +995(599)722176
ელ-ფოსტა: dzaridze@legalaid.ge

იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიურო
ბიუროს უფროსი: გელა ბერაძე
მის: ზესტაფონი, წერეთლის ქ. №11
ტელ: +995(492)253637
მობ: +995(595)364441
ელ-ფოსტა: gberadze@legalaid.ge

იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო
ბიუროს უფროსი: გელა სიორდია
მის: ქუთაისი, სადგურის მოედანი №3
ტელ: +995(431)253411
მობ: +995(595)901700
ელ-ფოსტა: gsiordia@legalaid.ge

სამეგრელოს-ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო
ბიუროს უფროსი: რონამ კეიჯია
მის: ზუგდიდი, კოსტავას ქ. №24
ტელ: +995(415)253472
მობ: +995(595)901702
ელ-ფოსტა: rkeidia@legalaid.ge

სამეგრელოს-ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო
ბიუროს უფროსი: ნათია ბოჭგუა
მის: ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №37
ტელ: +995(493)243332
მობ: +995(595)901703
ელ-ფოსტა: nbodjgua@legalaid.ge

აჭარის იურიდიული დახმარების ბიურო
ბიუროს უფროსი: იამზე ზანდარაძე
მის: ბათუმი, პუშკინის №145
ტელ: +995(422) 242449
მობ: +995(595) 901701
ელ-ფოსტა: izandaradze@legalaid.ge

ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრი
კონსულტანტი: იამზე მემარნიშვილი
მის: ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1, მე-3 სართ.
ტელ: +995(496)275992
მობ: +995(595)308850
ელ-ფოსტა: imemarnishvili@legalaid.ge

ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი
კონსულტანტი: თეა ჩიკვაძე
მის: ამბროლაური, აღმაშენებლის ქ. №24
მობ: +995(595) 308847
ელ-ფოსტა: tchikvaidze@legalaid.ge

ახალქალაქის საკონსულტაციო ცენტრი

კონსულტანტი: ვასილ ბალახაძე
მის: ახალქალაქი, თამარ მეფის №44
მობ: +995(591)996597
ელ-ფოსტა: vbalkhadze@legalaid.ge

წალკის საკონსულტაციო ცენტრი

კონსულტანტი: დავით გოგიჩაიშვილი
მის: წალკა, არისტოტელეს №22
მობ: +995(599) 090091
ელ-ფოსტა: dgogichaishvili@legalaid.ge

მარნეულის საკონსულტაციო ცენტრი

კონსულტანტი: ლალი ალუდაური
მის: მარნეული, რუსთაველის №73
მობ: +995(551)424400
ელ-ფოსტა: laludauri@legalaid.ge

მესტიის საკონსულტაციო ცენტრი

კონსულტანტი: ავთანდილ ჭაფარიძე
მის: მესტია, სეტის მოედანი №19
მობ: +995(551)201947; +995 (599)294477
ელ-ფოსტა: ajaparidze@legalaid.ge

საჩხერის საკონსულტაციო ცენტრი

კონსულტანტი: ინგა ნოზაძე
მის: საჩხერე, თავისუფლების ქ.№4
მობ: +995(551)449633
ელ-ფოსტა: inozadze@legalaid.ge

